პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 189 (9965) | ოთხშაბათი 11 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი იმიერ-ურალის კოლმეურნეობაში (მე-2 გვერდი).

შ. ხიდაშელი. — საქალაქო პარტიული ორგანიზაცია და ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის (მე-2 გვერდი).

თბილისის ავეჯის კომბინატის მშენებლობაში (მე-2 გვერდი).

შეუწყნარებელი უდარდელობა ახალი სასწავლო წლისთვის მზადებაში (მე-3 გვერდი).

გამოცდა, რომელიც ყველას აინტერესებს (მე-3 გვერდი).

ქალაქ ფოთში (მე-3 გვერდი).

მშრომელთა სანიმუშო დასვენებისათვის (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მრეწველობის მუშაკთა მთავარი საბრძოლო ამოცანა

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული დიადი კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი, სწრაფი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდებით. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის შეუნელებელი ზრუნვა შემდგომ წარმატებათა მოპოვების მთავარი, გადამწყვეტი პირობაა, საიმედო საწინდარია.

ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე დამოკიდებულია პროდუქციის გამომშვების გადიდება, მისი თვითღირებულების შემცირება. ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის დროებითი კამპანია როდია. ეს არის საწარმოთა მთელი კოლექტივების, ამ კოლექტივთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელების ყოველდღიური საბრძოლო ამოცანა, რომელიც მოითხოვს გულდასმით, დაკვირვებულ შრომას, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის დაუღალავ მუშობას, არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, საწარმოს ცხოვრების მრავალი აქტუალური საკითხის მოწესრიგებაზე. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, რაციონალიზატორულ წინადადებათა გაბედულად დანერგვა და მასების შემოქმედებითი აზრის სათავეში ჩადგომა, მანქანა-დანადგართა ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მაღალ დონეზე დაყენება, რაც რიტმული მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების მასობრივი გავრცელება, სამუშაო ადგილის რაციონალურად მოწყობა და ა. შ. წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უშრეტ რეზერვს.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში ამ რეზერვების უნარიანი გამოყენების, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები გვაქვს. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად თავიანთი ძირითადი პროდუქციის — ნახევრადავტომატური აბრეშუმსაქსოვი მანქანის თვითღირებულება საგრძნობლად შეამცირეს.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლის გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ ბრძოლის უნარიანად მოწყობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პარტიისა და მთავრობის მიერ მოცემული დიდი დავალების განაღდება — უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში შევქმნათ ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიუხვე, უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, რომელიც მიჩნეულია რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მოწინავე საწარმოდ, მუშათა საერთო რაოდენობიდან გამომუშავების ნორმას ვერ ასრულებს 13 პროცენტი, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში — 24 პროცენტი, ხოლო ქუთაისის აბრეშუმკომბინატში — 28 პროცენტი. ეს იმიტომ, რომ ამ საწარმოებში უგულებელყვეს შრომის ნაყოფიერების გადიდების ისეთი მძლავრი რეზერვი, როგორიც არის მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი დაოსტატება, მოწინავეთა გამოცდილების მასობრივად დანერგვა და ამისათვის ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდის გამოყენება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად მოწყობილი ბრძოლა საწარმოების შინარეზერვების გამოსავლინებლად და გამოსაყენებლად, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებასთან ერთად ვერ უზრუნველყვეს ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის გამოშვება ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანამ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა, საგრძნობი რაოდენობით დაგვაკლო ფოლადი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ და სხვ. როგორც მეტალურგებს, ისე ავტომობილმშენებლებს, მეშახტეებს აქვთ მრავალი ჯერ გამოუყენებელი რეზერვი იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ სახელმწიფო დავალებები. საჭიროა ამ რეზერვების გამოვლინება და გამოყენების უზრუნველყოფა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწევა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანაა. აქეთკენ უნდა წარმართონ თავიანთი გულისყური საწარმოთა ხელმძღვანელებმა. გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ამ საქმეში განსაკუთრებული ეფექტის მოცემა შეუძლია. ჭიათურელ მაღაროელთა მოწინავე რაზმმა — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც 21 იანვრისათვის შეასრულა შვიდი თვის საწარმოო დავალება, შესანიშნავ მაჩვენებლებს მიაღწია შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში, მაგრამ მაღაროს ეს გამოცდილება ჯერჯერობით მხოლოდ ამ მაღაროს კოლექტივის კუთვნილებას შეადგენს.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლა უნდა მოეწყოს კომპლექსური პრინციპით, ამ მხრივ არსებულ ყველა საშუალებათა და შესაძლებლობათა სრული გამოყენებით. უნდა ავამოქმედოთ ყველა ძალა, მთელი რესურსები იმისათვის, რომ გადაჭრით ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება მუშაობის ყველა უბანზე, წარმოების მთელი ციკლის ყველა რგოლში. ამისათვის საჭიროა ამ საქმეს კოლექტიურად და მტკიცედ ჩასჭიდონ ხელი საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათს შეწყობილ მუშაობაზე, მათს უნარზე — დარაზმონ მასები საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბევრი რამ არის დამოკიდებული.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა სადილი გამართა ბ-ნ კ. ეტლის მეთაურობით ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის მოსკოვს ყოფნის გამო

10 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა სადილი გამართა ბ-ნ კ. ეტლის მეთაურობით ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის მოსკოვს ყოფნის გამო, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება.

სადილზე იყვნენ დელეგაციის წევრები: ბ-ნი ე. ბევენი, ქ-ნი ე. სამერსკილი, ბ-ნი უ. ბერკი, ბ-ნი მ. ფილიპსი, ბ-ნი ს. უოტსონი, ბ-ნი გ. ერნშოუ და ბ-ნი გ. ვ. ფრანკლინი.

სადილზე იყო აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგანგებო და ხრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ უილიამ ჰეიტერი.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. ვაშინსკი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ნ. ვ. პოპოვა და სსრ კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის წევრი ლ. დ. კისლოვა.

სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია

10 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმავალი ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია ლეიბორისტული პარტიის ლიდერ კ. რ. ეტლის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ე. ბევენი, ყოფილი შრომის მინისტრი ეტლის მთავრობაში; ე. სამერსკილი, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის ვიცე-თავმჯდომარე; უ. ბერკი, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე; მ. ფილიპსი, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი; ს. უოტსონი, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის წევრი; გ. ერნშოუ, ფეიქართა პროფკავშირის გენერალური მდივანი; გ. ფრანკლინი, ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის წევრი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი.

(საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

★

დაბები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის რუკაზე

ყაზახეთის ვაღების უსაზღვრო სივრცეებში ამენდა 92 დაბა ახალი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც ითვისებენ ყამირ და ნასვენ მიწებს. ეს დაბები ჯერ კიდევ არ არის აღნიშნული რესპუბლიკის რუკაზე. მაგრამ ისინი უკვე არსებობს და შენდება. თვითეულ მათგანში ცხოვრობს და შრომობს ასობით ადამიანი.

წარმატებით მიმდინარეობს მშენებლობა პავლოდარის ოლქის ლენინის, აბაისა და კუიბიშევის სახელობის მარცვლეულის ახალ საბჭოთა მეურნეობებში, ჩრდილეთ ყაზახეთის ოლქის ხრუშჩოვის სახელობის, ყდანოვის სახელობის, ბულაევისა და მოსკვორეცკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში, აკმოლინსკის ოლქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „სიუხვეში“ და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „ტემირტაუს“ ახალი დაბა აშენდა ყარაგანდიდან ას კილომეტრზე. აქ უკვე საექსპლატაციოდ გადაცემულია ექვსი ოთხ და ერთბინიანი სახლები. წელს სულ აშენდება 30 სახლი, ორი საერთო საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამკურნალო და სბავშვო დაწესებულებათა შენობები. 15 ჰექტარი მიწაა გამოყოფილი კულტურისა, დასვენების პარკისა და ხეხილის ბაღისათვის.

20-დან საცხოვრებელი სახლი, საზაფხულო სასადილო, მაღაზია, ბიბლიოთეკა და საექიმო პუნქტია აშენებული კუსტანაის ოლქის ორჯონიკიძის სახელობის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში. ამ საბჭოთა მეურნეობის მშენებლებმა გადაწყვიტეს 1 სექტემბრამდე ააშენონ კიდევ ორი ოთხბინიანი სახლი, ორი საერთო საცხოვრებელი, საცხობი, აბანო, მექანიკური და სადურგლო სახელოსნობი. შემოდგომაზე აქ დაირგვება ათიათასი ხე და გაშენდება ხეხილის ბაღი.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა

ოდესა, 9 აგვისტო. (საკდესი). ოლქის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნდა ექსკურსანტთა პირველი ჯგუფი. ბრიგადების კრებებზე, კოლმეურნეებთან საუბრებში ისინი უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, უამბობენ გამოფენის მონაწილეთა მიღწევებზე.

ახალი გეგმებით დაბრუნდა ბერიოზოვკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ა. პოსმიტნი. სასოფლო-სამეურნეო არტელმა, რომელმაც ამას წინათ აღნიშნა თავისი 30 წლის იუბილე, უფლება მოიპოვა ფართოდ უჩვენოს თავისი მიღწევები ერთსა და იმავე დროს უკრაინისა და მთავარ პავილიონებში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ კოლმეურნეებს გააცნო პროგრესული აგროტექნიკა, რომელსაც იყენებენ კრასნოდარის მხარის კორენოვსკის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 21,8 ცენტნერი მარცვლეული, უამბო, როგორ იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის დანერგვის შედეგად.

ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა დიწყებს ბევრი ძვირფასი ღონისძიების დანერგვას, რომელსაც გამოფენაზე გაეცნენ. კერძოდ, შეიქმნება ნაზმატყლიანი ცხვრების ფერმა, განზრახული აქვთ გაადიდონ ბაღებისა და საკენკრების ფართობი მიჩურინული ჯიშის ხეებისა და ბუჩქების დარგვის გზით. საშემოდგომო ხორბლის თესვაში გამოიყენებენ მთელ რიგ ახალ აგროწესებს.

სათორნინ კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაში გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებაზე უამბო კოტოვსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს წარჩინებულმა მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ბლაეევსკიმ.

ცოდნით გამდიდრებული ექსკურსანტები — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტები და ნოვატორები კოლმეურნეობებსა და მტს-ებში აკეთებენ მოხსენებებს და კითხულობენ ლექციებს.

დონის საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის ჩაბარების გეგმა

დონის როსტოვი, 9 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა მეურნეობების „ნოვი მირის“, „მანიჩსკის“, „ვოლგოდონსკოის“ შემდეგ მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დაამთავრეს დონის სხვა საბჭოთა მეურნეობებმაც.

მოწინავე მეურნეობებმა უხვი მოსავალი აიღეს. ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის „გიგანტის“ კოლექტივმა 5.914 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 25,2 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, ხოლო 3.234 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 27-30 ჰექტარი ხორბალი. კარგი მოსავალი მიიღო აგრეთვე ცელინის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობა „როგოვსკიმ“, „სალსკიმ“ და სხვ.

როგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბარში როსტოვის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორმა ამხ. ვ. ა. კოვალენკომ განაცხადა, 8 აგვისტოს დონის საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა, რაც მათთვის იყო დაწესებული (გარდა სიმინდისა). მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტმა“ სამშობლოს მისცა 1,5 მილიონი ფუთი პური. 860 ათას ფუთზე მეტი მარცვალი გაგზავნა სახელმწიფო ბეღელში ცელინის საბჭოთა მეურნეობამ. მილიონობით ფუთი დონის ხორბალი ჩააბარეს როსტოვის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სხვა მეურნეობებმაც.

სრულიად საკავშირო კონკურსი ბავშვის ჯანსაღმრის მოდელებზე

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო პირველად აწყობს სრულიად საკავშირო კონკურსს ბავშვის პალტოს, კოსტიუმის, კაბის, სასპორტო და ფორმის ტანსაცმლის მოდელებზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოდელების სახლების, ატელიეების, სამკერვალო ფაბრიკების ლაბორატორიების, თეატრალურ-საკოსტუმო სახელოსნოების, სასწავლებლების კოლექტივებს, აგრეთვე ცალკეულ სპეციალისტებსა და სხვა მოქალაქეებს.

კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას 24, 28, 36, 44 ზომის მოდელები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

საუკეთესო მოდელისათვის დაწესებულია ორი პირველი პრემია თვითეული 5 ათასი მანეთის რაოდენობით, ხუთი მეორე პრემია თვითეული 3 ათასი მანეთის რაოდენობით და რვა მესამე პრემია — თვითეული 1.500 მანეთის რაოდენობით. სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში არიან მხატვრები, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლები.

კონკურსი 1954 წლის 1 ნოემბრამდე გაგრძელდება. (საკდესი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ნოვატორ ტ. ს. მალცევის სტენდებთან

დიდძალი ხალხია ამ დღეებში სტენდებთან, რომლებიც აშუქებენ კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ მემინდვრე-ნოვატორის, სტალინური პრემიის ლაურეატის ტ. ს. მალცევის მუშაობის გამოცდილებას.

პავილიონ „ურალში“ კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ მიძღვნილი აქვს ცალკე სტენდი.

— ჩვენთან ყოველდღე მოდის ათასობით ექსკურსანტი, — ამბობს პავილიონის კონსულტანტი ამხ. ეუკოვი. — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოლქიდან ჩამოსულ მემინდვრეებს, აგრონომებს, მექანიზატორებს ხურთ დაწერილებით გაეცნონ ამხ. მალცევის მუშაობის მეთოდებს.

— ტერენტი სიმონის-ძე, — ამბობს ამხ. ეუკოვი, — ღარიბი გლეხის ოჯახიდან არის. ჯერ კიდევ როცა ერთპიროვნული გლეხი იყო, იგი ყოველნაირად ცდილობდა გაედიდებინა მიწის იმ მცირე ნაკვეთის მოსავლიანობა, რომელსაც იგი ამუშავებდა. ერთხელ, ეს იყო ოცდაათი წლის წინათ, ამხ. მალცევი შეეცადა რაც შეიძლება უფრო ღრმად მოეხნა მინდორი. იგი მოელოდა ჩვეულებრივზე უხვ მოსავალს. მაგრამ ვერავითარი მოსავალი ვერ მიიღო. ტერენტი სიმონის-ძე სულით არ დაეცა და შემდგომ წელს მეორედ მოხნა მინდორი. ამჯერად ხორბლის მშვენიერი მოსავალი მოვიდა.

ამ შემთხვევამ დაკვირვებული და ცნობისმოყვარე გლეხი დააფიქრა ბვნის ხერხების საკითხზე. პირველად მან მოსავალი ვერ მიიღო იმიტომ, რომ გადმოაბრუნა და ზედაპირზე მოაქცია მიწის ქვედა, მასაზრდოებელი ნივთიერებით ღარიბი ფენა, ხოლო ნოყიერი ზედა ფენა დიდ სიღრმეზე ჩახნა. როცა შემდგომი მოხვნით მან ნოყიერი ფენა თავის ადგილზე დააბრუნა, და მასთან კარგად გაფხვიერებული, ამით საუკეთესო პირობები შექმნა ხორბლის ზრდისათვის. მრავალი წლის ცდებისა და დაკვირვების შედეგად ამხ. მალცევმა შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების თავისი სისტემა. მან წარმოადგინა აგრეთვე ახალი იარაღები — უფრთო გუთანი, რომელიც ღრმად აფხვიერებს, მაგრამ არ აბრუნებს ნიადაგს, და თათებიანი ფარცხი.

მემინდვრე-ნოვატორი, შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. ამხ. მალცევი არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურგანის საოლქო კომიტეტის წევრი. იგი ორი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრია.

„მარცვლეულის“ პავილიონში ფართოდ წარმოდგენილია შადრინსკის რაიონი, სადაც ამხ. მალცევის მეთოდით ამუშავებენ მინდვრებს ბევრ კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობათა ნაწილს მომსახურებას უწევს პონკინსკის მტს-ი. გუშინ პავილიონში იყო ამ მტს-ის მთავარი აგრონომი ამხ. სინეგი. სხვა ოლქებიდან ჩამოსულ ექსკურსანტებსა და მას შორის გაიმართა საუბარი. ამხ. სინეგმა აღნიშნა, რომ მათ მინდვრებში, რომლებსაც ამხ. მალცევის მეთოდით ამუშავებენ, ჰექტარზე მოდის რამდენიმე ცენტნერით მეტი ხორბალი, ვიდრე ჩვეულებრივი წესით დამუშავებულ ნაკვეთებზე. (საკდესი).

100 წელიწადი უსრულდება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანას

ოდესა, 7 აგვისტო. (საკდესი). ასი წელიწადი უსრულდება ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანას.

ოდესლაც ნახევრადკუსტარული სახელოსნოდან, რომელიც ცხენის გუთნებს ამზადებდა, ქარხანა ახლა გადაიქცა დიდ, მაღალმექანიზებულ საწარმოდ, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას ამარაგებს მძლავრი ნიადაგდამმუშავებელი იარაღებით. წელს ქარხანა სასაქონლო პროდუქციას თითქმის მესამედით მეტს უშვებს, ვიდრე 1950 წელს. მანქანების წარმოება თითქმის ერთიორად აღემატება ომამდელ დონეს. ახლა მზადდება 10 ტიპის ნიადაგდამმუშავებელი იარაღები, მათ შორის სამკორპუსიანი, ხუთკორპუსიანი, ბალის, ჭაობბუჩქნარის, უფრთო და სხვა გუთნები.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა ღირსშესანიშნავი თარიღი შრომის ახალი წარმატებებით აღნიშნოს. მიღებულია გადიდებული ვალდებულებანი აგვისტოსათვის. გადაწყდა შრომის დაგეგმილი ნაყოფიერება გადაჭარბებულ იქნას 2 პროცენტით, ყამირი მიწების ათვისების რაიონებისათვის დამზადდეს 2.200 სახნისი „35-35-მ“ ნაცვლად ორი ათასისა, დავალების გადამეტებით გამოუშვან 15 ათასი სახნისი და ორი ათასი ფრთა, ვადამდე გამოუშვან წარჩინებული კოლმეურნე ნოვატორის მალცევის კონსტრუქციის ახალი უფრთო გუთნების პირველი პარტია.

სამშენებლო გამოფენა ლენინგრადში

ლენინგრადი, 8 აგვისტო. (საკდესი). ქალაქში დღითიდღე ფართოვდება საბინაო მშენებლობა. ამჟამად აქ შენდება 350-ზე მეტი მრავალსართულიანი სახლი. წლის დამლევს ლენინგრადელებმა უნდა მიიღონ 400 ათასამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. მშენებლობა მიმდინარეობს ინდუსტრიული მეთოდებით მაღალი წარმადობის მექანიზმების საშუალებით.

დღეს ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა საქალაქო სამშენებლო გამოფენა, სადაც ასახულია ყოველივე ახალი, რასაც ლენინგრადში უკანასკნელი წლების მანძილზე მიაღწიეს მშენებლების დარგში.

გამოფენაზე წარმოდგენილია 40-ზე მეტი დიდი ორგანიზაციის ნამუშევრები.

გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის მშრომელებში. მარტო პირველ დღეს იგი ინახულა 30 ათასზე მეტმა კაცმა.

კ. ს. სტანისლავსკის ხსოვნისათვის

7 აგვისტოს შესრულდა 16 წელი რუსული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის კ. ს. სტანისლავსკის გარდაცვალებიდან.

ზაფხულის შესვენების შემდეგ კვლავ გაიხსნა კარი კ. ს. სტანისლავსკის სახლ-მუზეუმისა, სადაც სცენის დიდი ოსტატი 17 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა. ამ სახლის პატარა სარეპეტიციო დარაზში ხორციელდებოდა მუშაობა ბევრ შესანიშნავ სპექტაკლზე.

კ. ს. სტანისლავსკი კაბინეტში მუშაობდა თავის მოწაფეებთან. ფოტოსურათებითა და დოკუმენტებით ვეცნობით თეატრის გამოჩენილი მოღვაწის ნათელ ცხოვრებას, რომელმაც საბჭოთა სცენის ოსტატთა რამდენიმე თაობა აღზარდა.

მუზეუმის გახსნაზე შეეკრიბნენ მოსკოველი მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, მოსკოვში საგასტროლოდ მყოფი ლენინგრადის ლენინური კომკავშირის თეატრის, ტამბოვის სოლქო დრამატული თეატრის, კიევის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობები. (საკდესი).

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა

ჭიათურა. 10 აგვისტო. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დღეს ჭიათურაში მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ შეჯამებულია შავი ძეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა. მას მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს სახელწოდება და ფულადი პრემია.

სასიხარულო ცნობამ მაღაროელებში ახალი შრომითი ატმავლობა გამოიწვია. თავდადებულად მუშაობენ ჩაჩანიძის, გიორგაძის, გამეზარდაშვილის, ნეფარიძის და სხვ. უბნები, აგრეთვე მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკა ინჟინერ ალექსანდრე მოდებაძის ხელმძღვანელობით.

მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: კოლმეურნეობათა მოედანზე.
ფოტო ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა თათბირი იმიერ-ურალის კოლმეურნეობაში

სოფელი მალცევო (კურგანის ოლქი), 8 აგვისტო. (საკუთარი). დღეს კოლმეურნეობაში „ზავეტი ლენინი“ გრძელდებოდა თათბირი კოლმეურნე მემინდვრის, შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორის ტ. ს. მალცევის მუშაობის მეთოდების შესწავლისა და გავრცელებისათვის.

დილის 10 საათზე გაიხსნა მორიგი სხდომა. მოხსენების განხილვის დაწყების წინ ტ. ს. მალცევმა პასუხი გასცა ბრავალ შეკითხვაზე, რომლებმაც ცხადყვეს თათბირის მონაწილეთა უდიდესი ინტერესი ნიადაგის დამუშავებისა და თესვის სისტემისადმი, რომელიც მან შეიმუშავა.

სიტყვა ეძლევა კურგანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ბუგაევს. იგი ლაპარაკობს დიდ წვლილზე, რომელიც ამხ. მალცევმა შეიტანა ოლქის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებაში. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, კურგანის ოლქის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტსები, იყენებენ რა ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას, მარცვლეულის მყარ მოსავალს იღებენ.

ინსტიტუტის კოლექტივმა მალცევის მეთოდები აითვისა არა მარტო როგორც მინდვრების დამუშავების ახალი აგრონომიული ხერხები, არამედ აგრეთვე როგორც მიწათმოქმედების ახალი სისტემის ნიშნები.

ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე დიდი მასშტაბით ხორციელდება ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდების გამოყენების ცდები. ამ ცდებმა ცხადყო, რომ მარცვლეული კულტურები, კერძოდ ხორბალი, რომელიც დაითესა უფრთო გუთნით დიდ სიღრმეზე მოხნულ ანეულში, უკეთ ვითარდება, ვიდრე ჩვეულებრივ ანეულში. სასუქის შეტანა კიდევ უფრო აუმჯობესებს პურის ზრდას, ადიდებს მოსავლიანობას. მალცევის მეთოდით მინდვრების დამუშავება უზრუნველყოფს ნიადაგში ტენის უფრო მეტი მარაგის დაგროვებას, ვიდრე ფრთიანი გუთნით მოხნულ მინდვრებში.

კრასნოუფიმსკის სასელექციო საცდელი სადგურის მეცნიერმა მუშაკმა ამხ. სალიუტინმა თათბირს მოახსენა შვრიისა და ხორბლის დასათესად ნიადაგის დამუშავების ახალი ხერხების გამოყენების პირველი პრაქტიკული ცდების შესახებ.

მეცენარეთა განვითარებაზე ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის კეთილნაყოფიერი გავლენის შესახებ ილაპარაკა პროფესორმა გენკელმა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი). მან მოიყვანა დამაჯერებელი ციფრები და ფაქტები, რომლებიც ინსტიტუტის ბრიგადამ მიიღო გამოკვლევის დროს, როცა იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის შემადგენლობაში მუშაობდა კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინის“ მინდვრებში.

მიწის დამუშავების სისტემა, რომელიც მალცევმა შეიმუშავა, სცვლის ნიადაგის სტრუქტურას. მეცენარეები უკეთ არიან უზრუნველყოფილი ჟანგბადით, წყლით, მასაზრდოებელი ნივთიერებებით. იცვლება ნიადაგის მიკროფლორა, სულ სხვანაირი ხდება მეცენარეთა ფესვების სისტემის აღნაგობა ამ პირობებში. დისკოიანი იარაღებით დამუშავებულ მინდვრებში ფესვები მეტწილად ზედაფენაშია განლაგებული. ფესვები მეტ მასაზრდოებელ ნივთიერებას ნთქამენ. მცირე წვიმების შემდეგაც კი მეცენარეები სწრაფად ითვისებენ ტენს. იზრდება აგრეთვე ნათესების გამძლეობა მაღალი ტემპერატურისადმი. ისინი უკეთ უძლებენ ცხელ ამინდს, ნაკლები ტენით კმაყოფილდებიან.

ტრიბუნაზეა კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დიმშაკოვი.

— ჩვენი კოლმეურნეობა წინათ არ იყო ცნობილი უხვი მოსავლით, — ამბობს ამხ. დიმშაკოვი, — მაგრამ 1950 წელს ჰექტარზე მივიღეთ 122 ფუთი საგაზაფხულო ხორბალი. ამისათვის ჩვენ მუდამ ვეუბნებით კოლმეურნულ მადლობას ტერენტი სიმონის-ძე მალცევს. მან გვასწავლა, როგორ უნდა განვახორციელოთ ღრმად ხვნა, ვაწარმოოთ ბრძოლა სარეველას წინააღმდეგ, დავთესოთ ხორბალი აოშილ ნაწვერალზე. ნაწვერალზე ჩვენ ვიღებთ 3-4 ცენტნერით მეტ მარცვალს, ვიდრე მოხნულ მიწაზე.

უკანასკნელი სამი წელი ჩვენში გვალვიანი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიღებდით 100-ფუთიან მოსავალს. გამოიყენა რა ახალი აგროტექნიკა, კოლმეურნეობამ იწყო პურის ჩაბარების გეგმების ვადამდე შესრულება, დროზე უსწორებს ანგარიშს მტს-ს. მეტს ინახავს საადრეო და საგვიანო ჯიშების თესლს, როგორც ამას გვირჩევს ამხ. მალცევი.

სიტყვა წარმოთქვა პარტიის კურგანის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დენისოვმა. მან აღნიშნა, რომ ამხ. მალცევის მიერ შემუშავებული აგროტექნიკური ხერხები ფართოდ ინერგება კურგანის ოლქში.

მალცევის პროგრესული აგროტექნიკის დანერგვამ საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა ოლქში მინდვრების მოსავალი და მარცვლის, პირველ რიგში საგაზაფხულო ხორბლის წარმოება. არახელსაყრელ წლებშიც კი კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგი მოსავალი მიიღეს და ერთისამად გაადიდეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. მნიშვნელოვნად უფრო მეტ პურს იღებენ კოლმეურნეებიც.

მაგრამ მოსავლიანობის გადიდების წარმატებები უფრო დიდი იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეობის საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოები აქტიურად გვეხმარებოდნენ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში. ოროტორმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა სხვადასხვა სამინისტროსა და სამეცნიერო დაწესებულების მიმართ, რომლებმაც გულგრილობა გამოიჩინეს ამ მნიშვნელოვანი წამოწყებისადმი. მაგალითად, დღემდე მოწესრიგებული არ არის უფრთო გუთნების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოება, რომლებიც საჭიროა მალცევის მეთოდით მიწის დამუშავებისათვის.

დღის სხდომის ბოლოს თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. ლისენკომ.

— კომუნისტური პარტია გვასწავლის, — ამბობს იგი, — რომ მეცნიერება, თეორია მძლავრი საშუალებაა, ურომლისოდაც შეუძლებელია მეურნეობის ნამდვილად სწორი გაძღოლა. წინადადებანი, რომლებსაც ახორციელებს მალცევი, ემყარება მეცნიერებას, არის თეორიისა და პრაქტიკის განზოგადებული დასკვნები. ამ წინადადებათა მიზანია ნიადაგის გაუმჯობესება და მინდვრების სისუფთავე, ნათესების მოსავლიანობის გადიდება. ამხ. მალცევი შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს მეცნიერების მიერ აღმოჩენილ მცენარეთა განვითარების კანონებს.

ამხ. ლისენკომ მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნე მეცნიერის მიღწევებს და აღნიშნა ნიადაგის დამუშავებისა და თესვის მისი მეთოდების შემოქმედებითად ათვისებისა და გამოყენების დიდი მნიშვნელობა მინდვრების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში.

აკადემიკოსმა ლისენკომ თავისი სიტყვის დიდი ნაწილი მიუძღვნა მინდვრების დასარევლიანებას, კერძოდ გარეული შვრიით დასარევლიანების წინააღმდეგ ბრძოლას. გარეული შვრია დღემდე არ არის მოსპობილი იმიერ-ურალისა და ციმბირის მინდვრებში. მეცნიერმა დაახასიათა წინათ გაშენდილ მინდვრებში სარეველას გაჩენის მიზეზები. მან ურჩია საათესლე ნაკვეთები გამოჰყონ მინდვრის თესლბრუნვის გარეთ, რათა აღმოიფხვრას სარეველას თესლის ბუნებრივი წარმოშობის შესაძლებლობა. კერძოდ, კოლმეურნეობაში „ზავეტი ლენინა“ აკადემიკოსმა ლისენკომ ურჩია ამისათვის საკვები თესლბრუნვა გადააქცევინ საათესლედ, რათა ბოლომდე გადაჭრილ იქნას მინდვრების სისუფთავის საკითხი.

ამხ. ლისენკომ აგრეთვე აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მინდვრებში სასუქების სწორად შეტანას. დისკოიანი იარაღით დამუშავებულ ნაწვერალზე ნათესის მოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება, ნათესში სწორად თუ შევიტანთ სასუქს მცირე დოზებით. მან აცნობა თათბირის მონაწილეთ, რომ აკადემიამ შეიმუშავა თესვასთან ერთად ნიადაგში ორგანულ-მინერალური სასუქების მცირე რაოდენობით შეტანის წესი.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ლისენკომ ილაპარაკა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მანქანების კონსტრუქტორებს მჭიდრო თანამშრომლობა კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან, რათა მათ კარგად იცოდნენ მიწათმოქმედების პრაქტიკის ახალი მოთხოვნები. თუ კარგად არ გვეცოდინება პრაქტიკული მოთხოვნები, კარგ მანქანებს ვერ შევქმნით. ამის საუკეთესო მაგალითია კონსტრუქტორული მუშაობა ამხ. მალცევისა, რომელიც წარმატებით ქმნის ახალ იარაღებსა და მექანიზმებს თავისი მეთოდით ნიადაგის დამუშავებისათვის.

აკადემიკოს ლისენკოს დასკვნით, ნიადაგის დამუშავების სისტემა, რომელიც შემოიტანა მალცევმა და წარმატებით ახორციელებს მას, უნდა გადავიტანოთ და დავნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შემოქმედებითად, თვითეული რაიონის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

* * *

საღამოს თათბირი განაგრძობდა მუშაობას.



სურათზე: საქართველოს სტატეო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ავეჯის კომბინატის მშენებლობა. მარცხნივ — საფანერო საამქროში ფანერის საჭრელი დაზგის გამოცდა. მარჯვნივ — სადურგლო საამქროს ჰიდრავლიკური წნეხი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისის ავეჯის კომბინატის მშენებლობაზე

ნავთლუღში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უდაბური ადგილი იყო, აღიმართა საქართველოს სსრ სტატეო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ავეჯის კომბინატის კორპუსები. ეს კომბინატი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საავეჯო საწარმო იქნება. იგი გამოუშვებს როგორც მასობრივი მოთხოვნილების ავეჯს, ისე უმაღლესი ხარისხის გარნიტურებს საწოლი ოთახის, სასადილოსა და კაბინეტისათვის.

ეს ახალი საწარმო, რომელიც რამდენიმე ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული, აღჭურვილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. იგი წელიწადში იმდენ ავეჯს გამოუშვებს, რამდენსაც ამჟამად საქართველოს ყველა საავეჯო საწარმო უშვებს.

დიდი გამოცოცხლებაა კომბინატის სამშენებლო მოედნებზე. უკვე დამთავრებულია ფანერისა და სადურგლო ფილების საამქროს მშენებლობა. აქ დადგმულია და დამონტაჟებულია ფანერსაჭრელი და ქერქსაცლელი დაზგები. აგრეთვე დადგმულია სადურგლო ფილების დიდი სიმძლავრის ჰიდრავლიკური წნეხი, რომლის წონა 200 ტონას აღემატება. წნეხზე ყველა პროცესი მექანიზებულია. ამ საამქროებში წელიწადში დამუშავდება 25 ათასამდე კუბური მეტრი ხე-ტყე. პირველ პროდუქციას — ფანერსა და სადურგლო ფილებს კომბინატი უახლოეს პერიოდში გამოუშვებს. ამ პროდუქციით იგი დააკმაყოფილებს არა მარტო საქართველოს ავეჯის საწარმოთა, არამედ აგრეთვე მეზობელი რესპუბლიკების ავეჯის ფაბრიკების მოთხოვნილებას.

დამთავრებულია წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები. დადგმულია და დამონტაჟებულია ორთქლის ქვაბები, რომელთა საგამოცდო შემოწმება რამდენიმე ხნის წინათ მოხდა.

ახლა მშენებელთა ძირითადი ძალები მუშაობენ საწარმოს მთავარ ოთხსართულიან კორპუსზე. მიმდინარეობს კორპუსის გადახურვა, მოწყობილობის დადგმა და მონტაჟი. აქ იწარმოებს ავეჯის აწყობა და გაკრიალება.

კომბინატის მშენებელთა კოლექტივს (მშენებლობის უფროსი შ. ჯანელიძე) გადაწყვეტილი აქვს ძირითადად მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაამთავროს როგორც სამშენებლო სამუშაოები, ისე მოწყობილობის დადგმა, ხოლო 1955 წლის პირველ ნახევარში კომბინატი საექსპლოატაციოდ გადასცეს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. უკვე აგებულია ერთი 24-ბინიანი და ერთი 8-ბინიანი სახლი, 18 ორ-ორ ბინიანი კოტეჯი, საერთო საცხოვრებელი 100 კაცისათვის და შენობა საბავშვო ბაღისათვის. მშენებლობის პროცესშია და მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება ორი სახლი, თითო 24-ბინიანი, საძირკველი ჩაეყარა საბავშვო ბაგასა და ახალ საცხოვრებელ სახლებს.

მშენებლობაზე თავი ისახელეს და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მეზეტონეები გ. ნიკოლაიშვილი, ვ. დევრისაშვილი, ვ. ვასილიევი, კალატოზები ა. აბოიანი, ძმები გ. და ვ. კრასნიხები, მეარმატურე ვ. გოჩაშვილი, დურგლები ი. ახუნტოვი, კ. ტარაკანოვი, წყალსადენსა და კანალიზაციაზე მომუშავეთა და ორთქლის ქვაბების მემონტაჟეთა ის ბრიგადები, რომლებსაც ა. ფროლოვი და ა. როგოვი ხელმძღვანელობენ.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. დაირგვება სხვადასხვა ჯიშის მრავალწლიანი ხე.

ზ. ბასილაშვილი.

ეროვნული საკითხიდან

ეროვნული დაწინაურებულნი

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). ვალერიან ... ტრაქტორთა სადგურის მოწინავე კომბაინერია. იგი შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს. წელს მისი პირობა იყო 25 სამუშაო დღეში მოემკა 400 ჰექტარი პურეული. ფაქტიურად ამხ. მაისურაძემ ნაკისრი ვალდებულება ვადამდე 8 დღით ადრე გადაჭარბებით გაანაღდა, მომკა 410 ჰექტარი, გალეწა 3.280 ცენტნერი ხორბალი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პურეულის მკაში წარმატებისათვის მტს-ის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ვ. მაისურაძეს გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს. ამხ. მაისურაძემ ვალდებულება იკისრა მკაში დაეხმაროს სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას და მოსავალი დამატებით აიღოს 50 ჰექტარზე. გუშინ მან მომკა 16 ჰექტარი ნაცვლად 10 ჰექტარისა.

ნაყოფიერად მუშაობს კომბაინერი სიმონ ტურათაშვილი სოფელ გალავნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ნაკისრი ვალდებულება გაანაღდა, პურეული მომკა 380 ჰექტარზე. ახლა იგი პურეულს გეგმის გადამეტებით მკის.

საქართველოს მენადირეობის საბჭოთა მეურნეობები

საქართველოს მენადირეობის საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ძვირფასი ბეწვიანი ნადირის — ნუტრიის (ჭაობის წავის) დახოცვა და ბეწვის დამზადება. ამ ნადირს აშენებენ ქალაქ ფოთის, აფხაზეთისა და რესპუბლიკის სხვა ადგილების წყალსატევებში. ნუტრია ჩინებულად შეეგუა საქართველოს. წელს ნუტრიის ბეწვი დამზადდება ერთიორად მეტი, ვიდრე შარშან.

საქართველოში ფართოდ ვითარდება მენადირეობა. დიდი პოპულარობაა სარგებლობს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ბაკურიანის მენადირეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც აშენებს ძვირფას ვერცხლისფერ-შავ მელიას. წელს აქ რამდენიმე ათასი მოზარდეულია.

საბჭოთა მეურნეობაში გამოყვანილია მელიის ახალი ნაირსახეობა — სრულიად თეთრი ბეწვით, გარდა ყურებისა და წარბებისა. უკვე მიღებულია ამ ძვირფასი ცხოველის რამდენიმე თაობა. მათი ნაწილი გაიგზავნა გასამრავლებლად ჩვენი ქვეყნის სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

საგარეჯოს, თეთრი წყაროს მენადირეობის საბჭოთა მეურნეობებში, თებერდის ნაკრძალში მოაშენეს ვერცხლისფერ-შავი მელიები, ალტაის ციყვები, ენოტისებრი ძაღლები და სხვა ძვირფასი ბეწვიანი ნადირი. (საქდესი).

პარტიულ თემაზე

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია და ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის“. ხელმძღვანელობდნენ რა გენიალური ლენინის ამ მითითებით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდი სტალინის მეთაურობით სოციალისტური მშენებლობის ყოველ ეტაპზე ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. მაგრამ ამ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის სოციალისტური ეკონომიკისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ჭიათურის მარგანეცის აღზის საწარმოებს. უკვე გაპულ წელს მარგანეცის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით 42,3 პროცენტით გაიზარდა.

ჭიათურელი მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოებისა მუშათა პატრიოტულ მოწოდებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და ვალდებულება იკისრეს წელსვე გაანაღონ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება შრომის ნაყოფიერების დარგში.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად მარგანეცის ქალაქის მშრომელთა მობილიზაციისათვის, მრეწველობაში ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის. ქალაქკომის ბიუროს უკანასკნელ თვეებში განიხილა მარგანეცის მრეწველობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, პირველხარისხოვანი ორგანეცის დამზადების და ბევრი სხვა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად განხორციელდა სათანადო ღონისძიებანი. საქალაქო კომიტეტმა მაღაროელთა შორის გააძლიერა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში მშრომელთა ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაციის (პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ყიფშიძე) მუშაობა. პარტიულმა ორგანიზაციამ სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას ცენტრში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანა დააყენა. მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხი, გამოავლინეს ახალი შინაგაწარმოო რეზერვები. ცალკეულ უბნებსა და ცვლებს შორის კარგ-ძალა სოციალისტური შეჯიბრება. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის გაძლიერებას ხელს უწყობს საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა, რომელსაც 70 აგიტატორი ეწევა.

პარტორგანიზაციამ უზრუნველყო ყველა კომუნისტის აქტიური ჩაბმა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წარმოებაში მოწინავე ტექნიკის ფართოდ დანერგვას, ახალი მანქანებისა და დაზგების მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენებას. კომუნისტების ა. მოდებაძისა და შ. რიკამაძის თაოსნობით მაისში ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში დაიდგა ხის დამჭერი ციბრიკული ცხრილები, განხორციელდა სხვა ღონისძიებანი მარგანეცის გაუხვების ტექნოლოგიური პროცესის გასაუმჯობესებლად.

კაგანოვიჩის სახელობის მაღარომ მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში შრომის ნაყოფიერების გეგმა 98,7 პროცენტით შეასრულა. პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი მ. გორგაძე) შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და საკითხი ღია პარტიულ კრებაზე განიხილა. კომუნისტებთან ერთად საქმიანად იმსჯელეს უპარტიო ამხანაგებმაც. მათ საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად კრებამ პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა. კრების შემდეგ საგრძნობლად გაძლიერდა სოციალისტური შეჯიბრება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რიტმულ მუშაობას, იმას, რომ სისტემატურად სრულდებოდეს მარგანეცის დამზადების სადღეღამისო გეგმები. მაღე მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა მაღაროს ყველა საწარმოო უბანზე. ამჟამად განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ის უბნები, რომლებსაც კომუნისტები ვ. სიკინჭალაშვილი, ბ. ბოჭორიშვილი, შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობენ. მაღარომ მაისში შრომის ნაყოფიერების გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა ივნისსა და ივლისში.

მთავარი მექანიკური სახელოსნოს პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრით დამუშავების მოწინავე მეთოდების დასანერგავად. ამ საქმის ინიციატორად აქ კომუნისტი ი. კაპანაძე გამოვიდა. ახლა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მოწინავე მეთოდებს კარგად არიან დაუფლებული მუშები დ. ჩუბინიძე, პ. ბარამაძე, შ. გოგლიძე და სხვები, რომლებიც ცვლის დავალებებს ორმაგად ანაღდებენ.

მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აგრეთვე დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია.

შრომის ნაყოფიერების ამაღლება დიდად არის დამოკიდებული მუშათა კულტურულ-ტექნიკურ დონეზე. მარგანეცის მაღაროების პარტიული ორგანიზაციები ითვალისწინებენ ამ გარემოებას და დიდ მუშაობას ეწევიან მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად. შექმნილია მრავალი სტახანოვური სკოლა, სპეციალური კურსები ცალკეულ პროფესიათა მიხედვით და სხვ. გარდა ამისა, მარგანეცის მრეწველობაში მომუშავე კადრების ეკონომიური განათლების ასამაღლებლად ლენინის, სტალინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოებში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. ამ სემინარებს გამოცდილი ინჟინრები შ. პაქსაშვილი, შ. ახვლედიანი და ლ. გოშხეთელიანი ხელმძღვანელობენ.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და დანერგვა შრომის ნაყოფიერების გადიდებია მნიშვნელოვანი რეზერვია. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ამ მხრივაც სერიოზულ მუშაობას ეწევა. ლენინის სახელობის მაღაროში ელექტროსაბურღავი მანქანის მემანქანემ კომუნისტმა გ. თოდაძემ სხვა მბურღავებთან შედარებით 23,4 პროცენტით შეამჭიდროვა ძირითად ოპერაციათა შესასრულებლად საჭირო დრო, რითაც ერთიორად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. საქალაქო კომიტეტის ბიურომ შეისწავლა გ. თოდაძის მუშაობის გამოცდილება და მიიღო დადგენილება მისი მეთოდის ფართოდ გავრცელებისათვის. ლენინის სახელობის მაღაროში შეექმნა სტახანოვური სკოლა, რომელშიც 15 მბურღავმა შეისწავლა გ. თოდაძის მუშაობის მეთოდი. მას შემდეგ, რაც დიმიტროვის სახელობის მაღაროში სტახანოველმა მბურღავმა კ. ნადირაძემ გ. თოდაძის მეთოდით დაიწყო მუშაობა, მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი. ზოგიერთი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაცია მთელი შესაძლებლობით როდი იბრძვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. სტალინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციამ, მართალია, განიხილა შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხი, დასახა ღონისძიებანი, მაგრამ ამას არსებითი გარდატეხა არ მოუხდენია. აქ ბევრ საწარმოო უბანში მოუგვარებელია შრომა, ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოების კულტურის ამაღლებას, დაბალია შრომის დისციპლინა, მაღაროს საწარმოო უბნებიდან ბევრი ვერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების გეგმას. ივნისში საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა სტალინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ანგარიში. პლენუმმა დასახა ღონისძიებანი მაღაროში პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის არასაკმარისად იბრძვიან მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს და „ჭიათურმშენის“ პარტიული ორგანიზაციები (პარტბიუროს მდივნები ვ. გელოვანი და ა. ბარბაქაძე). მართალია, ამ ორგანიზაციებში ზოგჯერ განიხილავენ წარმოების ცალკეულ საკითხებს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფენ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას, სუსტად ახორციელებენ კონტროლს მიღებული დადგენილების შესრულებისადმი. ამის შედეგად არ სრულდება მშენებლობის გეგმები, უშვებენ წუნს. კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში მიმდინარე წლის 5 თვეში შრომის ნაყოფიერების გეგმა 11 ობიექტიდან მხოლოდ ორმა შეასრულა. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა „ჭიათურმშენშიც“.

სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღება შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ ბოლო დროს გააუმჯობესა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, მაგრამ მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში ამ საქმეში კვლავ გამეფებულია კამპანიურობა და ფორმალიზმი.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პარტბიუროო (მდივანი ი. თურქაძე) და საუბნო პარტორგანიზაციები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. სწორედ ამის შედეგია, რომ ამ მაღაროს 33 ცვლიდან მაისში მხოლოდ თექვსმეტმა შეასრულა გეგმა. მდგომარეობა არც შემდეგ თვეებში შეცვლილა.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას შრომის ნაყოფიერების გადიდების აურაცხელი რეზერვი მოეპოვება. საჭიროა გამოვავლინოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს რეზერვები. საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა უფრო მჭიდროდ დარაზმოს მარგანეცის მრეწველობის მუშები და სპეციალისტები ამ ამოცანის განსახორციელებლად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრად გაძლიერებით გააჩაღოს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

შ. ხიდაშელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

შეუწყნარებელი უდარდელობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საუკეთესოდ დაყენებისათვის, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო წლისათვის დროულად მომზადებას. ეს კარგად გაითვალისწინა თბილისის 20-ე საშუალო სკოლის დირექციამ (დირექტორი კ. გოგია, მოადგილე სამეურნეო ნაწილში თ. არუთინოვი) და სკოლა ნორმალური მეცადინეობის დაწყებად კარგად მოამზადა. აქ ვადამდე დაამთავრეს 288 ცალი მერხის, მაგიდების, დაფების რემონტი. ყველა საკლასო ოთახი მაღალხარისხოვნად შეკეთდა და შეიღება.

დროზე დააზუსტეს პირველ კლასში მისაღებ ბავშვთა სია, რომელთა პირადი საქმეები სრულ წესრიგზეა მოყვანილი. ასევე კარგად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მე-18 საშუალო სკოლაში.

სერიოზული მუშაობა წარმოებს აგრეთვე თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში. ამ სკოლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 20 ათასი მანეთი მთლიანად ათვისებულია. ადგილებზე მიიტანეს 140 კუბმეტრი შეშა, 60 ტონა ნახშირი. 50-ე საშუალო სკოლაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დროულად დაიწყეს. შეკეთეს სახურავი, მერხები, მაგიდები, დაფები, შეათვალეს საკლასო ოთახები და სხვ. სკოლაში ყველა პირობაა შექნილი სწავლის შეუფერხებლად დაწყებისათვის.

სამწუხაროდ, ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ზოგან უდარდელობას ვხვდებით. მაგალითად, სტალინის რაიონში ქუთაისის ქუჩაზე ჯერ კიდევ შარშან უნდა დაემთავრებინათ საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი სამსართულიანი შენობის აგება. მაგრამ იმედი არ გამართლდა. სახალხო განათლების და თბილმშენის სამშენებლო კანტორების მუშაკები ე. წ. „გარდამავალი“ მშენებლობის მომიზეზით წელსაც აჭიანურებენ სასკოლო შენობის აგებას.

— ჩვენ პირობა გვქონდა დადებული, რომ სასკოლო შენობის აგებას დავამთავრებდით მიმდინარე წლის მაისში, — განაცხადა მშენებლობის უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა ინჟინერმა ნ. სიხარულიძემ, — მაგრამ იგი ვერ გავანაღდეთ. არა უშავს რა, მშენებლობას ამ 20 დღეში მაინც დავამთავრებთ.

მშენებლობის 30 პროცენტი შეუსრულებელია, შენობა მთლიანად გადასახურავია, სამივე სართულის არცერთი ოთახი არ არის წესრიგზე მოყვანილი, აკლიათ კარ-ფანჯრები, საკლასო ოთახები შეუღებავია, ბევრს ჭერი და იატაკი არა აქვს. აი ასეთ სავალალო მდგომარეობაშია მშენებლობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სასკოლო შენობის აგებაში ეხვდებით აშკარა უპასუხისმგებლობას. ცუდი კონსტრუქციის შედეგად პირველ სართულზე 2-ჯერ ჩამოინგრა რკინაბეტონის თაღები. ამან მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოიწვია ზედმეტი ხარჯები და ამასთან ერთად გააჭიანურა მშენებლობა.

ყველაფერი რიგზე არც ამავე რაიონის 21-ე საშუალო სკოლაშია. აქ წელს კაპიტალური რემონტისათვის გაითვალისწინეს 97 ათასი მანეთი. რემონტი 3 ივლისს დაიწყო, ხოლო დამთავრებას ბოლო არ უჩანს. აქ რემონტს აწარმოებს სტალინის რაიონის სარემონტო კანტორიდან სამუშაოთა მწარმოებელი ლ. ნიკოლოსოვი, მაგრამ მას ეს სამუშაო სასხვათაშორისოდ მიაჩნია. იგი მხოლოდ დღეგამოშვებით მოდის რემონტის ჩასატარებლად. ორი საკლასო ოთახისა და ორი სასწავლო კაბინეტის კაპიტალური რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ. პარკეტის სამუშაოები დაუმთავრებელია. ყველა საკლასო ოთახი ზეთის საღებავით შესაღებავი მეორეჯერ, მერხების 60 პროცენტს საზურგე არა აქვს. ერთი სიტყვით, 13 საკლასო ოთახიდან არცერთი არ არის წესრიგზე მოყვანილი. ჯერ არ უფიქრიათ შეშის მომარაგებაზე. რემონტის გაჭიანურება გამოწვეულია იმით, რომ ვერ უზრუნველყვეს სამშენებლო მასალების საკმაო რაოდენობით მომარაგება. აკლიათ მუშახელიც, მაგრამ ამისათვის სტალინის რაიონის სარემონტო კანტორის მუშაკები თავს არ იწუხებენ.

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ქმნის ლაბორატორია შეუკეთებელია. 5 საკლასო ოთახში ყველა მერხი შესაღებია. ზოგიერთი მერხი უხარისხოდ არის შეკეთებული. მეტ წილ მერხებს საზურგე არ აქვს. ერთ-ერთი საკლასო ოთახის წინ დერეფანში რემონტის შემდეგ სახურავში კვლავ წვიმის წყალი ჩამოსულა და ჩამორეცხილი გაჯი იატაკზე ყრია. დაზიანებული ჭერი შეულესავია. ბევრგან საკლასო ოთახების ფანჯრებს აკლია მინები და სხვ. არცერთ სართულზე არ არის მოწესრიგებული ელექტროგაყვანილობა.

ასეთივე ფაქტებს სხვა სკოლებშიც ვხვდებით. სულ სტალინის რაიონში წელს შესაკეთებელია 2.156 ცალი მერხი. ფაქტიურად ეს დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული. მეტწილად შეუკეთებელია მაგიდები, სკამები, დაფები.

ცუდი მდგომარეობაა სკოლების კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის მხრივ. ამ საქმისათვის გამოყოფილი 720 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 373 ათასი მანეთი. სტალინის რაიონის სკოლებისათვის წელს გათვალისწინებულია 1.800 კუბმეტრი შეშა და 179 ტონა ნახშირი. დღემდე სკოლებში მიზიდულია მხოლოდ 870 კუბმეტრი შეშა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე არც ორჯონიკიძის რაიონშია. აქ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონში სკოლებისათვის უნდა შეეძინათ 570 ცალი მერხი, ფაქტიურად მხოლოდ 75 ცალი შეიძინეს. ასევე უმნიშვნელო რაოდენობის შეიძინეს მაგიდები, კარადები, დაფები. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლების შეშით მომარაგების მხრივაც.

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებაში რომ იკითხავთ, გიპასუხებენ, რაიონში ყველა სკოლა, გარდა 56-ე საშუალო სკოლისა, მზად არის ახალი სასწავლო წლისათვის. ფაქტიურად ჩვენ ვნახეთ, რომ მათ მიერ ნაქებ 53-ე საშუალო სკოლაში ყველაფერი რიგზე როდია. აქ წელს გათვალისწინებული იყო სკოლისათვის დამატებით მიეშენებინათ 7 საკლასო ოთახი. ეს მშენებლობა სავალალო მდგომარეობაშია. არცერთ ოთახში არ არის იატაკი დაგებული, ფანჯრებში მინები ჩაუსვამელია, ოთახებს კარები არა აქვს და სხვ. ვაჟთა 56-ე საშუალო სკოლაში რემონტი უხარისხოდ ჩაატარეს. შეკეთებული სახურავიდან წვიმის დროს წყალი ჩამოდის. უხარისხოდ შესრულებულია აგრეთვე სადურგლო-საკალატოზო სამუშაოები. მერხების ნაწილი გაუშალაშინებელი ფიცრებით გააკეთეს, ზოგიერთი საკლასო ოთახის კარი ისეა უსწორმასწოროდ შეკეთებული, რომ არ იკეტება. ასევეა ფანჯრებიც. ასეთი ფაქტების შემდეგ განათლების განყოფილების მუშაკები გულდამშვიდებით აცხადებენ: „რაიონში რემონტი დამთავრებულიაო“.

ერთი ფაქტიც. წელს კუიბიშევის სახელობის თბილისის ხისდამმუშაებელი ქარხანა ვალდებული იყო თბილისის სკოლებისათვის დაემზადებინა 1.500 ცალი მერხი, 160 კარადა, მაგიდები, დაფები და სხვ. მაგრამ ამ ამოცანის შესრულებისათვის ქარხნის დირექცია და პირველ რიგში მისი დირექტორი ამხ. დ. გორგიაშვილი თავს ნაკლებად იწუხებს. აღნიშნული სამუშაოები ქარხანას სანახევროდაც არ შეუსრულებია.

უფრო მეტი. ქარხნის მესვეურები სკოლებისათვის ზოგჯერ ამზადებენ უხარისხო კარ-ფანჯრებს და ჩარჩოებს. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის 53-ე საშუალო სკოლაში ამ ქარხნის მიერ დამზადებული კარის ჩარჩოების სისქე ნაცვლად 10-12-სა 7-8 სანტიმეტრია. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

— კარგია ჩარჩოებს საჭირო სისქე რომ ჰქონდეს, მაგრამ ასეც იოლად წავლენ, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს ქარხნის დირექტორი ამხ. დ. გორგიაშვილი.

დრო არ ითმენს. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. როგორც სტალინის, ისე ორჯონიკიძის რაიონში ყველა შესაძლებლობა არსებობს ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისათვის. საჭიროა მხოლოდ მონდომება, საქმისადმი პასუხისმგებლობა და არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება. საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის სტალინისა და ორჯონიკიძის რაიკომებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა და განათლების განყოფილებებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ სასწავლო წლისათვის მზადება, რათა ჩვენი ქვეყნის ბედნიერ თაობას სკოლა პირველ სექტემბერს სავსებით მომზადებული შეხვდეს.

შ. ჭოჭუა,
გ. ხენგავა.

ქალაქ ფოთში

ქალაქის კეთილმოწყობა

წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა ქალაქის კეთილმოსაწყობად. გამწვანების მიზნით ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებსა, კულტურისა და დასვენების პარკში დაირგო 16.500 სხვადასხვა ჯიშის მარადმწვანე მცენარე და ხეხილი, 350 ათასი ძირი დეკორაციული მცენარე, რომელთა დიდი ნაწილი გახარებულია. ჯაფარიძისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში მოწყობილ იქნა ყვავილნარის ახალი გაზონი, რომელსაც 1.500 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ქუჩების კეთილმოწყობა, კანალიზაციის სამუშაოები. მთელ რიგ ქუჩებზე დააგეს ასფალტი, ნაწილი ქუჩებისა შეკეთეს.

წელს ბიუჯეტით კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 2.150 ათასი მანეთი. 8.764 ათასი მანეთი გადადებულია ქალაქში კანალიზაციის მოსაწყობად. კანალიზაციის მთავარი მაგისტრალური ხაზი უკვე გაყვანილია 3.750 გრძივ მეტრზე.

მუშათა საცხოვრებელი სახლები

უკანასკნელ წლებში ქალაქში მრავალი საცხოვრებელი სახლი აიგო. მშენებლობა წელსაც წარმატებით მიმდინარეობს. ლენინის ქუჩაზე მთავრდება კოლხიდმშენის სამსართულიანი სახლის მშენებლობა, ნინოშვილის ქუჩაზე თევზის ქარხნის მუშებისათვის შენდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ლიბკნეხტის ქუჩაზე მთავრდება ორსართულიანი სახლის აგება, რომელიც გათვალისწინებულია ნაცხადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის. ორსართულიანი სახლი აიგო ელექტროქსელის მუშაკებისათვის.

ელექტროქსელის გაფართოება

თანდათან ფართოვდება ქალაქის ელექტროქსელი. მიმდინარე წლის 6 თვეში აიგო სამი სატრანსფორმატორო ელექტროკოსკი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საწარმო-დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების საქმე. ამასთან ელექტროფიცირებულ იქნა ფრუნზეს, კაკაბაძის, სკოლის, სოხუმის, იმერეთის ქუჩები.

დამატებით მოეწყო ელექტროსატრანსფორმატორო კიოსკი, რომელიც დენს აწვდის გრეიფფრუტის საბჭოთა მეურნეობას. ამჟამად ეს მეურნეობა მთლიანად ელექტროფიცირებულია.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

ქალაქში ყოველწლიურად იზრდება ინდივიდუალურ ბინათმშენებელთა რიცხვი. სახელმწიფო მათ ბინების ასაშენებლად აძლევს გრძელვადიან კრედიტებს. შარშან 157 ინდივიდუალურ ბინათმშენებელს გრძელვადიანი სესხის სახით მიეცა 1.100 ათასი მანეთი, წელს კი გაიცა 1.200 ათასი მანეთი. მარტო მიმდინარე წელს 21 ბინათმშენებელმა აიშენა საცხოვრებელი სახლი.

ა. პაპარაია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა

საბურთალოზე, კომინტერნის ქუჩაზე, საელექტროტექნიკოდ გადაეცა საქართველოს ქვანახშირის ტრესტის ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო ორი მილიონი მანეთი ბარნოვის ქუჩაზე ორი კომუნალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. თვითეულ სახლს ექნება 14 ბინა.

საბურთალოში ბავლოვის ქუჩაზე აშენდება სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს მექანიზებული აგურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის. წელსვე ლისის ქუჩაზე იწყებს 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება.

მშრომელთა სანიმუშო დასვენებისათვის

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

ვის არ ხიბლავს წყაღვერი თავისი ლაჟვარდ ბუნებით, ჯანსაღი ჰაერით. აქ ყოველ ზაფხულს მრავალი დამსვენებელი მოდის. მაგრამ როგორია კურორტის კეთილმოწყობა? — სამწუხაროდ, აქ ყველაფერი რიგზე როდია.

დამსვენებელი **შ. ჯინჭველაშვილი** (წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი) წაღვერიდან გვწერს:

სრულიად მოუწყობელია კურორტის ცენტრალური ქუჩები და საზოგადოებრივი ადგილები. საკოლმეურნეო ბაზარზე ანტისანიტარიაა გამეფებული. პურის არსებული ერთი წერტი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობისა და დამსვენებლების მოთხოვნილებას. მოუწესრიგებელია დამსვენებელთა კულტურული მომსახურების საქმე.

წაღვერის დასასვენებელი სახლის მუშაობის ნაკლოვანებების, კინოფილმების უხეიროდ ჩვენების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ დამსვენებლები **დ. შამათავა, დ. არქანია, რ. კრიუჩკოვი, ა. ჯინჭველაძე.**

სრულიად მოუწყობელია კურორტი ბახვარო. ქუჩებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. საცხოვრებელი უბნები დანგვიანებულია. კურორტის ტერიტორიაზე თავისუფლად დადის პირუტყვი. წვიმიან დღეებში ავტოტრანსპორტის სადგურსა და მოედანს შორის გაუვალი ტალახი დგება. მოუგვარებელია მომარაგების საქმეც.

ყოველივე ამის შესახებ გვწერენ დამსვენებელი **ი. ხუციშვილი** (საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკი) და დამსვენებელი **ვ. მდინარაძე.**

კურორტი საირმე მრავალ დამსვენებელს იზიდავს. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ სამკურნალო წყლების ეფექტიანობის გამო. მაგრამ წყლების მიღება ხდება არაწესიერად, საექიმო კონტროლს გარეშე. საირმეში არ არის რადიო, სასპორტო მოედანი.

ამის შესახებ გვწერს დამსვენებელი **ბ. მელაძე.**

სურამში ზოგიერთი სასურსათო საქონლის, კერძოდ ცხიმეულის ნაკლებობასა და საკოლმეურნეო ბაზარში გამეფებულ უწესრიგობის შესახებ ატყობინებს რედაქციას მკითხველი **ა. სულამანიძე.**

კურორტ ახალდაბის კეთილმოწყობლობის შესახებ არაერთხელ უცნობებიათ მკითხველებს რედაქციისათვის. აი რას გვწერს ერთი მათგანი — **ჩ. ჩადუნელი.**

აქ მოუწყობელია სამკურნალო წყაროები. მოუგვარებელია კურორტის ელექტროგანათებისა და რადიოფიცირების საქმე. ახალდაბაში არ არის აბანო. საკოლმეურნეო ბაზარიც მოუწყობელია: არ არის თაროები, პროდუქტები მიწაზე აწყვია. ბაზარში უსუფთაობაა. სასადილო ცუდად მარაგდება კვების პროდუქტებით.

ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ამხ. **ვ. გურგენიძე** გვატყობინებს, რომ ახალდაბის საავადმყოფო და სამშობიარო სახლი შეუფერებელ ადგილას არის მოწყობილი. მის ქვემო სართულში მოთავსებულია სასოფლო საბჭო, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება და სხვ.

ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მ. დავითაშვილი** წერილში, რომელიც მან რ[illegible] სოფლების [illegible] სამკურნალ[illegible] დიდ მნ[illegible] ტურობას ისიც ადასტურებს, გვწერს ამხ. დავითაშვილი, რომ შარშან მაისოქტომბრის განმავლობაში აქ რვა ათასზე მეტმა მშრომელმა იმკურნალა. მიუხედავად ამისა, აბაზანები და მისი ტერიტორია სრულიად მოუწყობელია, არ არის არავითარი ნაგებობა და სამკურნალოდ ჩამოსული მშრომელები საველდანელოდ გაკეთებულ კარვებში ათევენ ღამეს. არასაკმაოა თვით საბანაბანო ოთახებიც. საჭიროა ამ წყაროებს და აბაზანებს მეტი ყურადღება მიექცეს.

შაქრიანის გოგირდოვან წყლებზე შექმნილი არანორმალური მდგომარეობის შესახებ ატყობინებს რედაქციას ამხ. **ა. გაჩეჩილაძეც.** აქ ჩამოსულ ავადმყოფებზე, წერს იგი, არ არის დაწესებული საექიმო მეთვალყურეობა. აბაზანები და მისი ტერიტორია დაბინძურებულია, აბანოთი სარგებლობის საფასურის გადახდევინების დროს არის ბოროტმოქმედება.

— გალის რაიონში არის მეტად მნიშვნელოვანი საკურორტო ადგილი — სათანჯო. მისი ჰავა და სამკურნალო წყაროები მეტად დაფერხთად მოქმედებენ ორგანიზმზე. მაგრამ, სამწუხაროდ, სათანჯო კეთილმოწყობილი არ არის, აქ ცოტაა დასასვენებელი და საცხოვრებელი სახლები, მოუწყობელია კურორტზე მისასვლელი გზები. კურორტის ტერიტორიაზე ჩანგდება ტყე. სათანჯოსა და ჭუბურხინჯის მინერალური წყლების მეცნიერულ შესწავლას და ამ კურორტების კეთილმოწყობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, — გვწერს ექიმი **ა. აქირთავა.**

მკითხველი **ს. ბაქრაძე** გვატყობინებს, რომ სოფელ ნუნისის (ორჯონიკიძის რაიონი) აბაზანები კეთილმოუწყობელია. არ არის ელექტროგანათება, გზები უგარგისია.

— ოთხიოდე წლის წინათ სოფელ ონჭიეშში, რომელიც ქუთაის-რაჭის გზაზე მდებარეობს, აღმოჩენილ იქნა მინერალური წყალი, — გვწერს მკითხველი **ლ. ჭიალაშვილი,**—სათანადო მეცნიერული გამოკვლევით იგი ცნობილ იქნა სამკურნალო წყლად. სოფელ მექვენის კოლმეურნეობამ აქ მოაწყო აბანო, გამართა ორი აბაზანა, ააგო ფიცრული შენობა. ონჭიეშში მრავალი მშრომელი მოდის აბაზანების მისაღებად. ეს წყალი დალევის დროსაც შესანიშნავ შედეგს იძლევა. მაგრამ აბანოს მოუწყობლობის გამო აქ ჩამოსულ მშრომელებს აბაზანების ნორმალურად მიღების საშუალება არა აქვთ. კოლმეურნეობის შესაძლებლობას აღემატება ის ხარჯები, რაც ესოდენ სასარგებლო აბანოს კეთილმოწყობას სჭირდება.

ჩვენი გაზეთის მკითხველები მოითხოვენ როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობისადმი, დამსვენებელთა მომარაგებისადმი მეტ ყურადღებას. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კურორტთა სამმართველოებმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სათანადო ზომები უნდა მიიღონ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გამოცდა, რომელიც ყველას აინტერესებს

ჩაის პლანტაციებს მოუქარგავთ მახარაძის რაიონის ველ-მინდვრები. პლანტაციები, ციტრუსოვანთა ბაღნარები, ისევ პლანტაციები, ყოველი მხრისაკენ, ყოველი მიმართულებით... შორს, ლილისფერ სივრცეში ჰორიზონტი ნაზად შეხებია ცის უსაზღვროებას და მის ფონზე გამოუკვეთია საქართველოს სუბტროპიკული ბუნების სიინარნარე ისე ლამაზად, ისე მოხდენილად, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს. სად იწყება, სად თავდება ზღვის მეზობლად, ზღვასავით გადაშლილი ჩაის ბუჩქებით ახუჭუჭებული ეს მწვანე მასივი, რა ძალა უნდა ჰქონდეს იმათ მარჯვენას, ვინც ამ აურაცხელ ჩაის ბუჩქებს, ძვირფასს, როგორც ზღარული ოქროს საწმისი, უვლის, პატრონობს, ელოლიავება...

ალალი იყოს თქვენს მკერდზე სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავის ბრწყინვალება, უკეთესთა შორის უკეთესნო!

მიდამო გარდიგარდმო დაუხაზავთ ახოვან კედართა და ჯეკაროსთა ჩრდილიან ხეივნებს — ჩაის პლანტაციათა ქარსაცავ „მწვანე კედლებს“, და გრძნობს მკვრეტელი, რომ თვალი უღონოა გადაწვდეს დაუსრულებელ სივრცეს და დაინახოს ჩვენი ზურმუხტოვანი სუბტროპიკების მთელი სიმდიდრე — ისეთივე ჩაის პლანტაციები, როგორიც ლაითურში, ნატანებში, ნასაკირალსა და დვაბზუშია.

მეჩაიე კოლმეურნეებმა მოგვითხრეს: ჩაის ბუჩქი ფაქიზი და მომთხოვნია — თუ კარგად მოუვლი, ყველაფერს გაუგებ, მის ჭირვეულობას მალამოდ დაედები — გასიამოვნებს, გაგახარებს, თუ არა და... მაგრამ ადვილი როდია ამ ძვირფასი მცენარის მოვლა. თვითეულ ბუჩქთან კაცი წლის სხვადასხვა სეზონში სხვადასხვა სამუშაო პროცესთა შესასრულებლად სულ ცოტა 40-ჯერ, 50-ჯერ უნდა მივიდეს. მეჩაიე კოლმეურნეებს არ ეგულებათ რომელიმე სხვა, უფრო ფრომატევადი და ამავე დროს უფრო ხელსაყრელი კულტურა. ჩაის პლანტაციაში გასაწევ სამუშაოთა საერთო ჯამში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს კრეფის პროცესს. 60 პროცენტი სამუშაო პროცესებისა მარტო ფოთლის კრეფას მიაქვს. ჩაის ფოთლის კრეფა კი ჯერჯერობით მხოლოდ ხელით ხდება. მსოფლიოს ტექნიკური აზრი უღონო აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამოენახა ჩაის კრეფის მექანიზაციის საშუალება, გადაეჭრა ჩაის საკრეფი მანქანის შექმნის საკითხი.

მაგრამ იქ, სადაც მსოფლიო ტექნიკური აზრი დღემდე უღონო იყო, თავისი ყოვლისმძლეობა უნდა გვიჩვენოს საბჭოთა ტექნიკურმა აზრმა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს კონსტრუქტორებს, ტექნიკოსებს დაავალეს ახალი სიტყვის თქმა, საბჭოთა მეჩაიეების შრომის შესაბამისუბუქებელი საშუალების გამონახვა. ამ მიზნით დაარსდა 1949 წელს თბილისში სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, ამ მიზნით გააჩაღეს შემოქმედებითი ძიება და დაუღალავი შრომა ჩვენმა კონსტრუქტორებმა, ინჟინერ-მექანიკოსებმა, ჩაის მრეწველობის სპეციალისტებმა.

აქ არ არის საჭირო დაწვრილებით გამოვუდგეთ ამ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის მუშაობის დახასიათებას, გავიხსენოთ ძველი საყვედურები, მთელ რიგ წარმატებათაგან ზოგჯერ ნაადრევი აღფრთოვანება და ა. შ. მაგრამ საჭიროა გადაჭრით ითქვას, რომ საბჭოთა ტექნიკურმა აზრმა, ჩვენმა კონსტრუქტორებმა ღირსეულად გაამართლეს პარტიისა და მთავრობის დავალება, შექმნეს ჩაის ფოთლის საკრეფი ისეთი მექანიზმი, რომლის მსგავსი ჯერ არ იცის ტექნიკამ.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩვენი გამოჩენილი სპეციალისტების უშუალო მეთვალყურეობით ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ჩაის საკრეფი მანქანის გამოცდა. მანქანების გამომცდელებმა უკვე მიიღეს ერთი დასკვნა, რაც უთუოდ გაახარებს ყველა მეჩაიეს: მიგნებულია ჩაის კრეფის მექანიზაციის ძირითადი პრინციპი, უკვე გვაქვს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა, რომელიც ჯერჯერობით კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ არავითარი ეჭვი არ არის, რომ ხვალ თუ ზეგ იგი სრულყოფილი იქნება.

ორი კვირა სრულდება, რაც ამ ჩაის საკრეფი მანქანების გამოცდა დაიწყო. სპეციალისტების ჯგუფმა, რომელსაც მინდობილი აქვს გამოცდის ხელმძღვანელობა, დაკვირვებების უშუალოდ მოწყობა, უკვე მიიღო წინასწარი დასკვნები, შეიმუშავა ღონისძიებები, რომელთა განხორციელება დაიჩქარებს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის სრულყოფას, წარმოებაში მის დანერგვას.

პირველი დასკვნა შეეხება გამოსაცდელად წარმოდგენილ მანქანათაგან ყველაზე უფრო პერსპექტიულის არჩევას. სპეციალისტებმა გადაჭრით აღიარეს, რომ გამოსაცდელად წარმოდგენილი მანქანებიდან ყველაზე პერსპექტიული, უფრო მისაღები არის „ჩუ-1,5“ ტიპის მანქანა შ. კერესელიძის კონსტრუქციისა, რომელმაც მრავალი ცდის დროს გვიჩვენა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი თვისებები. ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგში ამაზე უკეთესი მანქანის გამოჩენა მოსალოდნელი არ იყოს, მაგრამ დღესდღეობით ეს მანქანა საუკეთესოდ უნდა იქნას აღიარებული. ცდების დაყენების ოქმებში ჩაწერილია: სამუშაალო მკრეფავის მიერ ხელით მოკრეფილი ჩაის ფოთლის მასაში ნახი დუყები აღმოჩნდა 81,79 პროცენტი, გაუხეშებული დუყები — 14,24 პროცენტი, უხეში ფოთოლი — 2 პროცენტი.

„ჩუ-1,5“ ტიპის მანქანით პირველი საცდელი კრეფისას მოკრეფილ მასაში ნახი დუყები აღმოჩნდა 80,7 პროცენტი, გაუხეშებული დუყები — 15,7 პროცენტი, უხეში ფოთოლი — 3,25 პროცენტი. განმეორებითი ცდისას ნახი ფრაქცია უდრიდა 89,7 პროცენტს. გაუხეშებული — 8 პროცენტს, ხოლო უხეში ფოთოლი — 1,9 პროცენტს. მაგრამ ამასთან აღმოჩნდა, რომ თუ ხელით კრეფისას კრეფის სისრულეს ჩავთვლით ას პროცენტად, მანქანით კრეფისას კრეფის სისრულე საშუალოდ 49 პროცენტი გამოდის. ამასთან თათბირის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ეს მანქანა საათში კრეფს საშუალოდ 32 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, ანუ თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე გამოცდილ მკრეფავს შეუძლია მოკრიფოს 8 საათში. ამრიგად, სპეციალისტებმა აღიარეს, რომ „ჩუ-1,5“ მანქანას ახასიათებს ზოგიერთი უარყოფითი თვისება, რომელთაგან მთავარი და გადამწყვეტია კრეფის სიწმინდე (უხეში ფოთლის კრეფის აღკვეთის საჭიროება) და მეორე — კრეფის სისრულე. მანქანის კონსტრუქტორმა და მასთან მომუშავეებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მანქანის იმ კვანძების კონსტრუქციულ გაუმჯობესებას, რომლებიც მანქანის მუშაობის ციკლში ამ ორ რგოლს განაგებენ.

კრეფის სისრულის არსებულ პირობებშიც კი ამ მანქანის წარმოებაში დანერგვა სპეციალისტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, თუ, ცხადია, მიღწეულ იქნება კრეფის სიწმინდე.

ამასთან ცდების დროს დაგროვებული მასალების განსახილველად მოწვეულ თათბირზე აღინიშნა ის დიდი პროგრესი, რომელიც გვიჩვენა „ჩუ-1,5“ ტიპის საკრეფმა მანქანამ. კერძოდ აღინიშნა, რომ ამ მანქანამ შარშანწინ ვერ გვიჩვენა კარგი თვისებები, ვერ მოგვცა კარგი შედეგები. გასულ წელს ამავე მანქანამ გაცილებით უკეთესი შედეგები გვიჩვენა, ხოლო წელს კიდევ უკეთესი, ვიდრე შარშან. მანქანის მუშაობის თანდათანობითი გაუმჯობესების საქმეში ასეთი პროგრესი მოწმობს, რომ საჭიროა კიდევ მუშაობა, მანქანის ცალკე კვანძთა კონსტრუქციული გაუმჯობესება, რის შემდეგაც მიზანშეწონილი იქნება მისი წარმოებაში დანერგვა ჩაის ფოთლის დამხარისხებელ მანქანებთან ერთად კომპლექსური გამოყენებისათვის.

თათბირმა გულდასმით იმსჯელა იმის შესახებ, თუ რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ ჩაის კრეფის მექანიზაცია მასობრივად განვახორციელოთ, მეჩაიეები გავათავისუფლოთ ამ მეტად შრომატევადი სამუშაოსაგან.

გარდა იმისა, რომ მიღწეულ უნდა იქნას არსებული საკრეფი მანქანის სრულყოფა, საჭიროა აგრეთვე კონსტრუქტორების შემოქმედებითი აზრი მივმართოთ ჩაის ფოთლის დამხარისხებელი არსებული მანქანების გაუმჯობესებისა და ახალი, უფრო სრულყოფილი დამხარისხებელი მანქანების შექმნისაკენ. მხოლოდ იმ პირობით შეიძლება ჩაის კრეფის მექანიზაციის განხორციელება ჯერჯერობით ცნობილი საკრეფი მანქანით, თუ უხრუნველყოფილ იქნება მანქანის მიერ მოკრეფილი ფოთლის მთელი მასის დაუყოვნებლივ გატარება დამხარისხებელ მანქანაში. ამრიგად, სპეციალისტების თათბირმა კონსტრუქტორების გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად აღიარა შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერება ფოთლის დახარისხების საკითხის გადასაჭრელად.

კრეფის მექანიზაციის განხორციელების შემდგომ წინაპირობად თათბირმა ცნო პლანტაციების დროზე მოჭიზადება მანქანების სამუშაოდ. პლანტაციაში ჩაის ბუჩქების შპალერები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მანქანის საკრეფმა ნაწილმა შეძლოს ბუჩქის მთლიანი გარემოცვა, შპალერებს შორის ადვილად გავლა. ბუჩქის მექანიკურ დახვიანებათა თავიდან აცილება. შემდეგ კი აუცილებლად საჭირო იქნება ფოთლის კრეფის მექანიზაციის დასანერგავად მომზადებულ იქნან კადრები, რომლებიც ახალ ტექნიკას უნარიანად გამოიყენებენ.

სპეციალისტების თათბირმა ჩაის კრეფის მექანიზაციის საკითხებზე მოუშავე ჩვენი გონებამახვილი კონსტრუქტორების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა მათ თავიანთ მუშაობაში ერთი წუთითაც არ დაივიწყონ კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული, ათეული წლების გამოცდილებით დადასტურებული პრინციპი, ლენინურ-სტალინური პრინციპი კოლექტივიზმისა, კოლექტიური შემოქმედებითი შრომისა.

* * *

დიდხანს გაგრძელდა თათბირი ლაითურში. დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობამ ყველას დაავიწყა პირადი საქმე, დასვენება, სიგრილეზე გასვლის მიმზიდველობა.

გაისმოდა თავმჯდომარის შეკითხვა:

— კიდევ ვის აქვს შენიშვნა, ვის გსურთ გამოთქვათ აზრი?

გამოდიოდნენ, აზრს გამოთქვამდნენ, რეგლამენტით შეუზღუდავნი ლაპარაკობდნენ ტექნოლოგები, კონსტრუქტორები, აგრონომები, ჩაის კულტურის მესაიდუმლენი... თით

ღირსშესანიშნავი თარიღი ალბანეთის ახალგაზრდობის ცხოვრებაში

ტირანა, 10 აგვისტო. (საკდესი). 10 წლის წინათ — 1944 წლის 8 აგვისტოს — ალბანეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით დაბა მელემესში მოიწვიეს ალბანეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა. 8 აგვისტოს აქ გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კორჩის, ნიინოკასტერის, ბერატის ოლქების ახალგაზრდობამ და არმიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. მიტინგის შემდეგ გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი და ახალგაზრდათა სპარტაკიადა.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს გამოფენა, რომელიც ასახავს ახალგაზრდობის როლს ალბანეთის განთავისუფლებისა და აღდგენისათვის ბრძოლაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. ბევრი ექსპონატია მიძღვნილი ქალაშვილებისა და ჯაბუკების მონაწილეობისადმი პირველი რკინიგზების მშენებლობაში და ხუთწლედის სხვა ახალშენებებში. 1952 წელს 12.700 ქალაშვილი და ჯაბუკი აშენებდა „შუქის გზას“, რომელიც მდინარე მატის ჰიდროელექტროსადგურს აკავშირებს ქალაქ მილოტთან.

ათასობით ქალაშვილი და ჯაბუკი ნებაყოფლობით იღებს მონაწილეობას ყამირი მიწების ათვისებაში, სახელმწიფო სასოფლო მეურნეობების მუშაობაში, სარწყავი არხების მშენებლობაში. ალბანეთის საწარმოებში არის წარმოების 8 ათასი ახალგაზრდა მოწინავე.

კულტურის ზრდა სახალხო გულგარეთში

სოფია, 9 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის განთავისუფლების მეათე წლისთავს ბულგარეთის მშრომელნი ხვდებიან დიდი მიღწევებით კულტურის დარგში. ბურჟუაზიულ ბულგარეთში მეცნიერება და კულტურა ექსპლოატატორთა მონოპოლია იყო, ახლა კი ფართო მშრომელი მასების კუთვნილება გახდა და ხალხის ინტერესებს ემსახურება.

კულტურის დარგში სახალხო ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო უწიგნურობის ლიკვიდაცია. ახლა ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია 50 წლამდე ასაკის ქალთა და მამაკაცთა უწიგნურობა. სახალხო ხელისუფლების დიდი მონაპოვარია სავალდებულო დაწყებითი სწავლის შემოღება. წინათ ბულგარეთში ყოველწლიურად სკოლის გარეთ რჩებოდა მშრომელთა ასი ათასზე მეტი ბავშვი. ახლა სკოლის ასაკის ყველა ბავშვი სწავლობს. სახალხო ხელისუფლების ათი წლის განმავლობაში სახელმწიფომ ააგო ათასამდე ახალი სკოლა.

უმაღლესი განათლება ბულგარეთში 1944 წლამდე თითქმის მიუწვდომელი იყო მშრომელებისათვის. ახლა მშრომელი ხალხის შვილებს ფართოდ აქვთ გახსნილი ყველა უმაღლესი სკოლის კარი. 1939 წელთან შედარებით სტუდენტთა რიცხვი ბულგარეთში ერთისამად გადიდდა. ამჟამად ბულგარეთში არის 20 უმაღლესი სასწავლებელი. შეიქმნა ახალი სახალხო ინტელიგენცია. ამჟამად თითქმის ყოველ სოფელში არის აგრონომი, მასწავლებელი, ექიმი.

თვითეულ დიდ ქალაქში საკუთარი დრამატული თეატრია. ბულგარეთში, გარდა ამისა, არის ხუთი სახელმწიფო ოპერის თეატრი, 20 ოპერეტის თეატრი, ათი სიმფონიური ორკესტრი და ათი ათასზე მეტი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი, 98 მუზეუმი. ბულგარეთის კინემატოგრაფიამ, რომელიც სახალხო ხელისუფლების წლებში შეიქმნა, გამოუშვა მთელი რიგი მხატვრული ფილმები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღო საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

მოღალატეებაზე უარის თქმას მოყვება საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). აღ-ის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი გმობს იმას, რომ ადენაუერი უარყოფითად ეკიდება საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ნოტებს დასავლეთის სახელმწიფოებისადმი.

„ქენევის თათბირს ახლა უნდა მოყვეს ახალი თათბირი“, — წერს მოწინავე სტატიაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ფრენკენ ტაგესპოსტი“ (ნიურნბერგი). „აბსოლუტურად არასწორი იქნებოდა ასეთ შესაძლებლობათა გამოყენებაზე წინასწარ უარის თქმა. ფედერალურ კანცლერს აშკარად სურს უარი თქვას მათ გამოყენებაზე. პოლიტიკა იწყება იქ, სადაც მოლაპარაკების არ ეშინიათ. ყოველგვარი სხვა მოქმედების შედეგი მხოლოდ წინააღმდეგობათა გამწვავება“.

გაზეთი „ჰამბურგერ ეხო“ (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) აყენებს კითხვას: „ლაბავენ თუ არა თავიანთ ღირსებას, როცა ცდილობენ დაახლოებას? დასავლეთ გერმანიის ფედერალური მთავრობა გამუდმებით არ უნდა წარმოთქვამდეს საზეიმო სიტყვებს გაერთიანების შესახებ. თუ იგი — როგორც ახლა — არაორაზროვნად ილაშქრებს ახალი მოლაპარაკების წინააღმდეგ. მსჯელობამ ერთიანობის შესახებ ძალის (იგულისხმე: სამხედრო ძალის) დახმარებით და ამასთან მშვიდობიანი გზით არა გვგონია ვინმე კიდევ შეიყვანოს შეცდომაში“.

გაზეთი „ნოიე რაინ-ცაიტუნგი“ წერს: „ადენაუერს სურს არა მარტო მოხუროს კარი, არამედ ჩაკეტოს კიდეც. ეს რომ კერძო პირის აზრი იყოს, შეიძლებოდა ბევრი მსჯელობა არ დაგვეწყო და ისე მაგვეღო იგი ცნობად. მაგრამ ეს არის დასავლეთ გერმანიის მთავრობის აზრი და ეს მთავრობა მოქმედებს თავისი აზრის შესაბამისად. იგი ამორიცხავს დამყაყებულ პოლიტიკას და უკვე განსაცდელში ჩავარდა. იგი არ ითვალისწინებს უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკაში“.

ინდონეზიამ უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიულ გლოკში

ჯაკარტა, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, ინდონეზიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ინდონეზია მონაწილეობას არ მიიღებს სამხედრო ბლოკში, რომელიც შექმნაც განზრახული აქვთ დასავლეთის სახელმწიფოებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ინდონეზიამ აგრეთვე უარი განაცხადა მონაწილეობა მიიღოს კოლომბოს ქვეყნების კონფერენციაში (ინდოეთი, ბირმა, ცეილონი, ინდონეზია, პაკისტანი).

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, 6-8 აგვისტოს მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 24 შტატის პარტიული ორგანიზაციების 150 დელეგატი.

გაზეთის ცნობით, კონფერენციამ მოიწონა კომპარტიის ეროვნული კომიტეტის წევრის ჰეტს პერის მოხსენება 1954 წლის წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ კონგრესის არჩევნებთან დაკავშირებით, მოიწონა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი; მიიღო რეზოლუცია პოლიტიკური პატიმრების ამნისტიისათვის კამპანიის გაძლიერების შესახებ, მოიწონა ელიზაბეტ ჰარლი ფლინის კანდიდატურა კონგრესის წევრად და მხარი დაუჭირა კომუნისტური პარტიისაგან სხვა კანდიდატების დასახელების ღონისძიებებს.

პერის მოხსენებაში წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ, როგორც გაზეთი იუწყება, აღნიშნული იყო, რომ შეერთებულ შტატებში არსებობს დიდი უკმაყოფილება ეიზენჰაუერის მთავრობის პოლიტიკის გამო.

პერმ მოუწოდა მხარი დაუჭირონ იმ კანდიდატებს, რომლებიც იბრძვიან სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის. შეეხო რა საშინაო პოლიტიკის საკითხებს, პერმ მოითხოვა ხელფასის მინიმალური განაკვეთების გადიდება, უფრო მეტი სახსრების ასიგნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების შესანარჩუნებლად, გადასახადების შემცირება, სკოლების, საავადმყოფოებისა და ბინების მშენებლობის გაფართოება.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ბეტი ჰანტმა.

ჩილის ხელისუფლებამ ერენბურგს დაუბრუნეს დიპლომი პაბლო ნერუდას მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოების შესახებ

ბუენოს-აირესი, 9 აგვისტო. (საკდესი). ჩილის ხელისუფლებამ ერენბურგს დაუბრუნეს პოლიციის მიერ ჩამორთმეული დიპლომი პაბლო ნერუდას მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოების შესახებ. დიპლომი მიიტანეს იმ შენობაში, სადაც გაჩერდა საბჭოთა მწერალი.

პაბლო ნერუდას პრემია გადაეცემა 10 აგვისტოს ცერემონიის დროს, რომელიც გაიმართება ჩილის მწერლის, ლიტერატურის ეროვნული პრემიის ლაურეატის ფერნანდო სანტ-იბანიესის თავმჯდომარეობით.

კორეის პრესა კორეელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ

ფხენიანი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს ცენტრალური გაზეთები ათავსებენ მოწინავე სტატიებსა და მრავალ მასალას, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა სპეციალისტების დახმარებაზე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა აღდგენაში, საბჭოთა კავშირიდან ჩრდილოეთ კორეაში დიდძალი სხვადასხვა მოწყობილობის მიღებაზე, რომელიც იგზავნება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად — ერთი მილიარდი მანეთის დახმარება გაუწიოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გაზეთი „ნოდონ სინუნი“ მოწინავე სტატიაში „საბჭოთა კავშირის უდიდესი დახმარება“ წერს: „ერთი წლის წინათ დიდი საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა — გადაუხდელად მოგვცეს ერთი მილიარდი მანეთი კორეის ომისშემდგომი აღდგენისა და სახალხო მეურნეობის მშენებლობისათვის, რომელიც დიდად დაზარალდა ომის დროს. მას შემდეგ ჩვენმა ხალხმა თავისი ნამდვილი მეგობრის — საბჭოთა ხალხის ყოველმხრივი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების მეოხებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. საბჭოთა კავშირმა უკვე გამოგვიგზავნა დიდძალი ნაგლინი, სხვადასხვა მოწყობილობა, ავტომანქანები, საშენი მასალები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ქიმიური სასუქები და სხვ. საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების მეოხებით ბევრი საწარმო უკვე აღდგენილია და დაიწყო პროდუქციის გამოშვება“.

მთელი ჩვენი ხალხი, წერს დასასრულ გაზეთი, გულწრფელ მადლობას გამოთქვამს ძმური დახმარებისათვის და პირობას დებს, რომ იგი მომავალშიც განამტკიცებს მეგობრობას თავის დიდ მეგობართან — საბჭოთა ხალხთან.

კოლეჯში დაზავების სამხედრო კომისიის სხდომა

პეკინი, 8 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

6 აგვისტოს კორეა-ჩინეთის მხარის ინიციატივით გაიმართა დაზავების სამხედრო კომისიის 46-ე სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი დაზავების ნეიტრალური კომისიის საინსპექციო ჯგუფების პერსონალის წინაღმდეგ პროვოკაციული გამოხდომებისა, რომლებიც უკანასკნელ დროს სამხრეთ კორეაში მოხდა. ამ სხდომაზე გამოსულმა კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ აღნიშნა, რომ ამჟამად ნეიტრალური სამეთვალყურეო კომისია უდიდეს სიძნელეებს აწყდება თავისი მოვალეობის შესრულების დროს იმ რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს ამერიკის მხარე. დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის კანონიერი მოთხოვნების მიუხედავად ამერიკის მხარემ უარი განაცხადა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია დაზავების შესახებ შეთანხმებით, უარი განაცხადა მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებები და გარკვეული გარანტია მისცეს კომისიას ასეთი პროვოკაციული გამოხდომების გამეორების წინააღმდეგ. ლი სან ჩომ მოითხოვა, რომ ამერიკის მხარემ უღრეესად გარკვეულად მისცეს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ კომისიას იმის გარანტია, რომ მას ექნება შესაძლებლობა შეასრულოს თავისი ფუნქციები და მოვალეობა იმ რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს ამერიკის მხარე, აგრეთვე შექმნას ამ კომისიის პერსონალის უშიშროების გარანტია.

ანგლიიმპერიალისტური დემონსტრაცია ნეპალში

დელი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იუწყება, გუშინ ნეპალის დედაქალაქში — კატმანდუში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მოაწყო საზღვარგარეთ ფრონტმა — დემოკრატიულმა პარტიებმა, გლეხთა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ლოზუნგები: „იანკებო, წაეთრიეთ შინ!“, „ძირს ამერიკელი იმპერიალისტები!“.

ჯუნისის ახალი მთავრობა

პარიზი, 8 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ გამოაცხადა ტუნისის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

ახალი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა ტაჰარ ბენ ამარი (დამოუკიდებელი).

წყალდიდობა ინდოეთში

დელი, 9 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ კვირაში გაძლიერდა წყალდიდობა ასამში, ბენგალიის ჩრდილოეთ ნაწილსა და ბიხარის შტატში. როგორც გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა“ იუწყება, განსაკუთრებით ძლიერი წყალდიდობაა რაიონში, რომელიც ვრცელდება პურნეადან (ბიხარის შტატი) კუჩ-ბიხარამდე (დასავლეთ ბენგალიის შტატი) 4.500 კვადრატულ მილ ფართობზე. ბენგალიის ჩრდილოეთ ნაწილში წყალდიდობით დაზარალდა 300 ათასი კაცი.

გაზეთი „სტეიტსმენი“ წერს, რომ ტირხუტის რაიონში (ბიხარის შტატი) წყალდიდობით დაზარალდა 7 მილიონი კაცი, დარბხანგის რაიონში — 600 ათასი კაცი. სინგხიას, ჯალეის, ჯანჯარპურისა და ბახერუს რაიონებში წყალმა მოსპო 100 სოფელი. 400 ათასი კაცი დაზარალდა ნირმალის, პრატაგანჯის, ბხიმნაგარის, სზპაზლის, ფიინაპუს, სახარსის, ბანგაონის, მადხიპურის, სინგეშვარის, ასტხანის და სოუფბაზარის რაიონებში.

ბიხარის შტატის ინფორმაციის, ტრანსპორტისა და მრეწველობის მინისტრმა მახეშ პრასად სინხამ განაცხადა, რომ ეს წყალდიდობა უმაგალითო ძალით განირჩევა. პრესა აგრეთვე იუწყება, რომ წყალდიდობა მოედო ნეპალისა და აღმოსავლეთ ბენგალიის მთელ რიგ რაიონებს.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ მოსახლეობას მიმართა მოწოდებით სახსრები შეიტანოს წყალდიდობის მსხვერპლთა დახმარების ეროვნულ ფონდში.

სიძვირის ზრდა იტალიაში

რომი, 9 აგვისტო. (საკდესი). სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის ცნობების თანახმად, 1954 წლის პირველ ექვს თვეში ცხოვრების ღირებულება იტალიაში გადიდდა 3-5 პროცენტით 1953 წელთან შედარებით. ამ ცნობებში შედის კვების, ტანსაცმლის, გათბობის, ბინის ქირის, გაზისა და დამატებითი ხარჯები, როგორიც არის, მაგალითად, თამბაქოს ნაწარმის, სანახაობებზე დასწრების ხარჯები, გაზეთების ყიდვა და სხვ. ყველაზე მეტად გადიდდა კვების ხარჯები, რომლებიც 1954 წლის პირველ ექვს თვეში ოთხი პროცენტით გადიდა.

სპორტის ამბები

სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობა

ბუდაპეშტი, 9 აგვისტო. (საკდესი). შეჯამებულია შედეგები სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობისა, რომელიც დამთავრდა ბუდაპეშტში.

საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ათი სახეობის სპორტში. მათ გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ტანვარჯიშში (ვაჟები და ქალები), შტანგაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, კრივში, ფრენბურთში (ქალები), მძლეოსნობაში (ქალები) და წყალში ხტომაში (მამაკაცები და ქალები). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა მძლეოსან ქალთა გუნდის წარმატება. საბჭოთა სპორტსმენები პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობის სპორტში არ გამოსულან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის გუნდმა მნიშვნელოვნად გაუსწრო სხვა ქვეყნების სპორტსმენ ქალებს. მეორე ადგილი დაიკავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა.

მრავალმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სამატიო წოდება და საპრიზო ადგილი დაიკავა. საბჭოთა სპორტსმენებმა სტუდენტთა ასპარეზობაზე მიიღეს 130 ოქროს, 93 ვერცხლის და 36 ბრინჯაოს მედალი.

ასპარეზობამ ცხადყო აგრეთვე უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა.

ასპარეზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა და ხელი შეუწყო სპორტსმენთა შორის — სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში

გუშინ თბილისში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში.

ქ. ლიონის (საფრანგეთი) სასპორტო კლუბის „ასველის“ კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებ გუნდს შეხვდა თბილისის „დინამოს“ გუნდი. მასპინძლებმა სტუმრებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს, გადასცეს სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ნიშნები და სამახსოვრო ვიმპელი.

თამაში დაიწყო 18 საათსა და 40 წუთზე. დაწყებისშივე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. ჩქარა გ. აბაშიძემ კარგი ნასროლი ბურთით გახსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ ანგარიშია 20:9 დინამოელთა სასარგებლოდ. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 33:14 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ფრანგები რამდენადმე უფრო გაიტიურდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა თავისი შემდგენლობის პირველი ხუთეული მთლიანად გამოსცვალეს, უპირატესობა კვლავ მათ მხარეზე იყო. შეხვედრა თბილისელ და ფრანგ კალათბურთელთა შორის დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 75:41.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 10 აგვისტო. აქ გაიმართა მატჩი დედაქალაქის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

• • •

მინსკი. 10 აგვისტო. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის XVI ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მინსკის „სპარტაკი“ და გორკის „ტორპედოს“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

საბჭოთა მსახიობების გამოსვლა ნორვეგიაში

ოსლო, 7 აგვისტო. (საკდესი). ნორვეგიაში კონცერტებს მართავს საბჭოთა მსახიობების ჯგუფი, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში ახალგაზრდობის ოსლოს საერთაშორისო შეკრებაზე. კონცერტებს, რომლებიც ბერგენში, ტრონჰეიმში, მოლდესა და ოლესუნში გაიმართა, დიდი წარმატება ჰქონდა.

5 აგვისტოს ბერგენიდან ოსლოში ჩამოსვლისთანავე საბჭოთა მსახიობებმა მუშების თხოვნით კონცერტი გამართეს გემთმაშენებელ ვერფის „აკერს მეკანისკე ვერკსტედის“ კლუბში. გუშინ გაიმართა მათი კონცერტი დედაქალაქის „იურდალ-ამფის“ სტადიონზე. მიუხედავად წვიმისა, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ კონცერტი აღტაცებით მოისმინა ბოლომდე.

ანგარიშში კონცერტის შესახებ გაზეთი „ფრიჰეტენი“ წერს:

„ყველა მსახიობს — მომღერლებს, ბალეტის მსახიობებს, მუსიკოსებსა და ცირკის მსახიობებს — ხალხი გულითადად მიესალმა ბრწყინვალე გამოსვლისათვის. პირველი მომენტიდანვე უადრესად ცოცხალი კონტაქტი დამყარდა საზოგადოებასა და სცენას შორის... ეს იყო ეშმარიტად მდიდარი და ბრწყინვალე საღამო“.

გაზეთი „მორგენპოსტენი“ მომღერლებს ლარისა ავდეევასა და იური გალკინს, ბალეტის მსახიობებს ელა ბრიჩკინასა და ვლადიმერ გოლუბინს, აგრეთვე სხვა საბჭოთა მსახიობებს უწოდებს უმაღლესი კლასის ოსტატებს. საბჭოთა მსახიობებს მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე სხვა გაზეთები.

დღეს ოსლოს სახალხო თეატრში გაიმართება საბჭოთა მსახიობების საბოლოო კონცერტი.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა



სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო). სურათზე: ბავშვები კარუსელზე.

ფოტო შ. გოჩაძისა.

სამომხმარებლო კოოპერაციის კადრების მომზადება

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ყოველწლიურად იღებს ახალ კვალიფიციურ კადრებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა დარგში. ისინი სწავლობენ სავაჭრო ტექნიკუმში, ცეკავშირის სკოლაში, სხვადასხვა კურსებზე.

წელს კოოპერაციული ტექნიკუმის სამწლიანი კურსი დაამთავრა 140-მდე კაცმა — საქონელმცოდნემ, ბუხჰალტერმა, საანგარიშო დარგის მუშაკებმა. ცეკავშირის ერთწლიანი სკოლა დაამთავრა 130 კაცმა, ხოლო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები — 126 კაცმა. მათ შორის არიან დამამზადებელი კანტორების დირექტორები, სოფლის და მუშათა კოოპერატივების ბუხჰალტრები, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გამგეები და სხვ. ამჟამად ამ კურსებზე კვალიფიკაციას იმაღლებს 70 კაცი.

ცეკავშირი ფართოდ იყენებს ახალგაზრდა მუშაკთა ინდივიდუალურ სწავლებას უშუალოდ ადგილებზე. ასეთი წესით წელს მომზადდა 130 მუშაკი. 326 კაცი — ახალგაზრდა მოანგარიშეები, მზარეულები, გამყიდველები, ბურისმცხობელები და სხვ. — ზეცადინეობას განაგრძობს. ტექმინიმუმის კურსები გაიარა 650 კაცმა.

წელს სხვადასხვა მოკლევადიან სემინარში ჩაბმული იყო 260 ბუხჰალტერ-კალკულატორი, ბურისმცხობელი. ინსტრუქტორ-რევიზორი, აგრეთვე ცეკავშირის ცენტრალური აპარატის საქონელმცოდნეები.

ამჟამად წარმოებს ახალი კონტინგენტის მიღება სავაჭრო ტექნიკუმსა და სკოლაში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი

ჩელუსკინელების ყუჩაზე ახალ მრავალსართულიან სახლში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აწყობს დიდ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს.

კომბინატს ექნება ბევრი საამქრო — დიდი საპარიკმახერო მამაკაცთა და ქალთა განყოფილებებით, ფეხსაცმლის შემკეთებელი, ტანსაცმლის საუთოებელი, წინდის საკერებელი საამქროები, ფოტოკაბინეტი, ფეხსაცმლის საწმენდი განყოფილება, საათების შემკეთებელი საამქრო და სხვ.

საამქროებში და კაბინეტებში მომხმარებელს მომსახურებას გაუწევს 60-მდე კაცი. კომბინატი მიმდინარე კვარტალში გაიხსნება. მისი მოწყობისათვის გამოყოფილია 300.000 მანეთი.

ქალაქის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილ-ბოსტნეულის შემოტანა-გატანა

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე უხვად არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები — საზამთრო, კომბოსტო, პომიდორი, ბადრიჯანი, კარტოფილი, ნესვი, ვაშლი, ქლიავი, თხილი, ხაზვი, ლობიო და სხვ., რომლებიც მოაქვთ რაიონების კოლმეურნეობებს და გასაყიდად საკომისიოდ აბარებენ ცეკავშირის თბილკოოპეკრობას.

მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონების შემდეგ ამ დღეებში გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა თბილისის მოსახლეობას გამოუგზავნეს ხილ-ბოსტნეულით დატვირთული 37 ავტომანქანა, ხოლო გუშინ ლაგოდეხის რაიონიდან ჩამოვიდა 40 მანქანა.

დიდძალი ხილ-ბოსტნეული — 55 ავტომანქანით 130 ტონაზე მეტი — ჩამოიტანეს გუშინ აგრეთვე ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა. ამ პროდუქტებს შორის 70 ტონა კარტოფილია, 25 ტონა საზამთრო, 6 ტონა ნესვი, 25 ტონა პამიდორი, 5 ტონაზე მეტი ვაშლი და მსხალი, 4 ტონა ახალი ლობიო, მუხუდო და სხვ. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოგზავნა 7 ავტომანქანა ხილ-ბოსტნეული, სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 6, სოფელ არუხლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმმა“ — 5, წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის და ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებმა ოთხ-ოთხი ავტომანქანა.

შემოზიდული პროდუქტების სიუხვემ საგრძნობლად შეამცირა ფასები საკოლმეურნეო ბაზრებზე.

თბილისის მასწავლებელთა საექსკურსიო გაზაში

დიდი გამოცოცხლებაა წელს ზაფხულში თბილისის მასწავლებელთა სახლის საექსკურსიო ბაზაში.

აქ ნახავთ ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ მასწავლებლებს. ივლისში და აგვისტოში საქართველოში ჩამოვიდნენ მასწავლებელთა ჯგუფები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ომსკიდან, ჩკალოვიდან. ტაშკენტიდან, დნეპროპეტროვსკიდან, ვლადივოსტოკიდან, ჩიტიდან, ასტრახანიდან, სტალინოდან, სტალინგრადიდან და სხვ.

ჩამოსული მასწავლებლები ინტერესით ათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ახალგაზრდა ქალაქ რუსთავს, მიდიან გორში, საგურამოში, თბილისის ზღვაზე.

მომქმე რესპუბლიკების მასწავლებლის სახლების აქტივი ჩამოდის თბილისის მასწავლებლის სახლის მუშაობის გასაცნობად და გამოცდილების გასაზიარებლად.

რესპუბლიკის მასწავლებლებისათვის საექსკურსიო ბაზა აწყობს მასობრივ ექსკურსიებს ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში.

ქუთაისელთა შეკვეთა

კუიბიშევის სახელობის ხისდამამუშავებელმა ქარხანამ მიიღო შეკვეთა ჩვენი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრიდან — ქუთაისიდან.

ქარხანამ წლის ბოლომდე უნდა დაამზადოს 480 ცალი სკამი, დივანი, სავარძელი, აგრეთვე 200 გრძივი მეტრი ტანსაცმლის ჩამოსაკიდი ქუთაისის ახალი დრამატული თეატრისათვის.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **ლისის ტბაზე** საექსპლოატაციოდ გადაეცა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობა ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტის ახალი წყალსაჯომარდო სადგური.

⊙ **შაუმიანის ქუჩაზე** (26 კომისრის რაიონში) გაიხსნა სასწრაფო სანედიცინო დახმარების ახალი პუნქტი. პუნქტს აქვს ორი სპეციალურად მოწყობილი მანქანა ავადმყოფების გადასაყვანად.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 1 სექტემბერს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლუბა ილიას ასული სლიტინსკაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Борьба в русской критике вокруг И. С. Тургенева в 1855-1861 годах“.**

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 15 სექტემბერს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სოფიო გრიგოლის ასული ჯოიცა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Н. А. Некрасов — критик“.**

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 15 სექტემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლაზარე იოსების-ძე როზინი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Художественный очерк в годы Великой Отечественной войны“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დედა პიღასი, მამა ნიკოლოზ, მეუღლე გუგულა, შვილები თამაზ, ნათელა, ძმა ნესტორ, დები ლილი, ნუნუ იუწყებიან **კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ბოგვერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VIII, სოფ. ეწერში (თერჯოლის რ.).

დედა ევა, მეუღლე ალექსანდრე, შვილები თამარ, მარგალიტა, დები ევგენია, ალექსანდრა, სიძეები კ. დოლიძე, ო. გიორგობიანი, ა. ჯალნდაძე, ძმისწულები ეთერ, ანზორ ოჯახებით იუწყებიან **ლ. ლ. დვალი-ცხვედიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VIII, 8 ს. გამოსვენება 12-VIII, 6 ს. „პრავდის“ მეორე შესახვევი № 6.

სახელმწიფო ინსტიტუტ „საქსახპროექტის“ თანამშრომლები იუწყებიან **მინადორა ნი